ახალი განათლება

2009 წელი, 21 – 27 მაისი

ფასი 90 თეთრი

№19 (453) გამოდის 1998 წლიდან

მეთორმეტეკლასელთა პირველი ბოლო ზარი

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა წარმოსაჩენად

გვერდი 3

გზა, რომელიც ყველაზე ბოლოს წყდება

გვერდი 4

რას ფიქრობენ პედაგოგები

სახელმძღვანელოების, ეროვნული გამოცდების და თორმეტწლიანი სწავლების შესახებ

გვერდი 5-6

სტუმრობა „პაზარა საქართველოში“

გვერდი 6

ღვერთებისა და გმირების საშობლოში

გვერდი 7

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განრიგი და გამოცდების ხანგრძლივობა

გამოცდა	თარიღი	სესიების რაოდენობა	ხანგრძლივობა
ქართული ენა და ლიტერატურა	2 ივლისი	2	4 საათი
ქართული ენა და ლიტერატურა	3 ივლისი	2	4 საათი
ზოგადი უნარები	6 ივლისი	2	3 საათი
ზოგადი უნარები	7 ივლისი	2	3 საათი
ზოგადი უნარები სტუდენტებისათვის	8 ივლისი	1	3 საათი
ინგლისური ენა	9 ივლისი	1	2 სთ. 15 წთ.
ინგლისური ენა	10 ივლისი	2	2 სთ. 15 წთ.
ფრანგული ენა	13 ივლისი	1	2 სთ. 15 წთ.
რუსული ენა	13 ივლისი	2	2 სთ. 15 წთ.
გერმანული ენა	13 ივლისი	1	2 სთ. 15 წთ.
მათემატიკა	14 ივლისი	2	3 სთ. 30 წთ.
საქ. ისტორია – საზ. მეცნიერებები	15 ივლისი	1	3 საათი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	16 ივლისი	1	3 საათი*
ლიტერატურა	17 ივლისი	1	4 საათი

** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოცდას ემატება თითო საათი დამატებით არჩეული საგნობრივი ნაწილისათვის*

24 მაისს ჩატარდება საგამოცდო ტესტების ავრობაცია ორ საგამოცდო საგანში:

1. **მათემატიკა,** 09:00 საათი, თბილისის 166-ე საჯარო სკოლის შენობა (აკ. წერეთლის №42);
2. **უცხოური ენები** (რუსული, გერმანული, ფრანგული), 13:00 საათი, თბილისის 51-ე საჯარო სკოლის შენობა (მელიქიშვილის №2).

საცდელ ტესტირებაში მონაწილეობის მსურველი აბიტურიენტები რეგისტრაციის გასავლელად და საშვის მისაღებად უნდა მოგრძანდნენ გამოცდების ეროვნულ ცენტრში (ივ. ჯავახიშვილის 60).

რეგისტრაცია იწარმოებს 23 მაისის ჩათვლით

ასოციაცია „ჯუნიორ ეჩივმენტ-საქართველო“ გთავაზობთ შემდეგ წარმატებულ ტრენინგ-პროგრამებს

1. სამოქალაქო ეკონომიკის მასწავლებლების გადამზადება

დასაწყისი: ჯგუფების მიხედვით (წინასწარი გაფრთხილებით)
პროექტის ხანგრძლივობა: **ჯგუფის შედგენისას, 12 სთ.**
ტრენინგზე განიხილება:

- სამოქალაქო ეკონომიკის სწავლების მეთოდიკა;
- საპროექტო განაცხადი – მოსწავლეთა კომპანია;
- ეკონომიკის საათების განაწილების უახლესი სქემა.

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტი და გამოცდილი ტრენერები.
ფასი: 140 ლარი
მსმენელებს გადაეცემათ: მასწავლებლის მეთოდური წიგნი და შესაბამისი სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 31 მისი, 16 სთ.

2. სასწავლო ნაწილების გადამზადება

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას, 12.00 სთ.
პროექტის ხანგრძლივობა: 4 დღე. 12.00-17.00 სთ.
ტრენინგზე განიხილება:

- სასწავლო ნაწილის ადგილი და როლი სკოლის ცხოვრებაში;
- სკოლის სასწავლო ნაწილის უფლება-მოვალეობები, პრაქტიკული მაგალითები;
- სკოლის მენეჯმენტის არსი;
- სკოლის საორგანიზაციო ეთიკა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- მოდელირებული სავარჯიშოები სასწავლო ნაწილებისათვის.

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტები და გამოცდილი ტრენერები.
ფასი: 150 ლარი.
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი მასალები და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 31 მაისი, 16 სთ.

3. სკოლის საქმეთა მმართველების ტრენინგი

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას, 12.00 სთ.
პროექტის ხანგრძლივობა: 4 დღე. 12.00-17.00 სთ.
ტრენინგზე განიხილება:

- საქმეთა მმართველის ადგილი და როლი სკოლის ცხოვრებაში;
- საქმეთა მმართველის უფლება-მოვალეობები, პრაქტიკული მაგალითები;
- სკოლის მენეჯმენტის არსი;
- სკოლის საორგანიზაციო ეთიკა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- მოდელირებული სავარჯიშოები საქმეთა მმართველებისათვის.

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტები და გამოცდილი ტრენერები.
ფასი: 150 ლარი.
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი მასალები და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 31 მაისი, 16 სთ.

4. სკოლის დამრიგებლების გადამზადება

დასაწყისი: ჯგუფის შედგენისას, 12.00 სთ.
პროექტის ხანგრძლივობა: 2 დღე (შაბათი და კვირა), 12.00-17.00 სთ.
ტრენინგზე განიხილება:

- დამრიგებლის ადგილი და როლი სკოლის ცხოვრებაში;
- მოსწავლეების უფლებები და მოვალეობები;
- კლასის საორგანიზაციო ეთიკის კოდექსის შედგენა;
- სკოლის სამივე საფეხურის კლასის სამოქმედო პროგრამები;
- სკოლის საშუალო საფეხურის სამოქმედო პროგრამები;
- მოდელირებული სავარჯიშოები.

ტრენინგს უძღვებიან: მოწვეული ექსპერტი და გამოცდილი ტრენერები.
ფასი: 50 ლარი.
მსმენელებს გადაეცემათ: შესაბამისი მასალები და სერტიფიკატი.
რეგისტრაციის ბოლო ვადა: 31 მაისი, 16 სთ.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

893 10 44 25 – ნინო (ტრენინგების მენეჯერი)

მისამართი: თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6, III სართული, ოთახი №301

(გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი – ალმა მატერი)

ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე გადარიცხვით.
ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:
„ვი თი ბი ჯორჯია“ ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101666,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204997922,
ანგარიშსწორების ანგარიში: 25203608.

„წარმოგიდგენთ საქართველოს“

პარტნიორ სკოლათა კონკურსი

კონკურსი „წარმოგიდგენთ საქართველოს“ პარტნიორ სკოლათა და თბილისის 53-ე საჯარო სკოლის ორგანიზებით ჩატარდა. მასში რეგიონებისა და თბილისის 31 საჯარო და კერძო სკოლის VIII-XII კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

პროექტში მონაწილე სკოლებმა ჯგუფური და ინდივიდუალური 10-წუთიანი საპრეზენტაციო მასალა წარმოადგინეს. ნამუშევრები მოიცავდა შემდეგ თემატიკას: საქართველოს ისტორია, ეროვნული ტრადიციები, საქართველო კულტურათა გზაჯვარედინზე, სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევები, ხელოვნება, კულტურა, სპორტი და ა. შ.

ჟიურიმ, რომელიც პარტნიორი სკოლებიდან წარმოდგენილი პედაგოგებისგან იყო დაკომპლექტებული, 5 საუკეთესო ნამუშევარი გამოავლინა.

გამარჯვებულ სკოლებს შორის არიან: თბილისის 53-ე საჯარო სკოლა; თბილისის 24-ე საჯარო სკოლა; თბილისის 150-ე საჯარო სკოლა; თბილისის მე-60 საჯარო სკოლა და თბილისის 64-ე საჯარო სკოლა.

დასკვნითი ღონისძიება თბილისის 53-ე საჯარო სკოლაში გაიმართა და მას მინისტრი **ნიკა გვარამია** და მინისტრის პირველი მოადგილე **ირინე ქურდაძე** დაესწრნენ.

„ჩვენთვის ნებისმიერი სასკოლო ინიციატივა დასაფასებელია, ეს კონკურსი მნიშვნელოვანი იმითაც არის, რომ პატრიოტული სულისკვეთებისაა, მოსწავლეებმა თავიანთი სამშობლო საინტერესო კუთხით წარმოაჩინეს; მათ ნამუშევრებში სამშობლოს სიყვარული იგრძნობა. განათლების მიზანი არა მარტო ცოდნის შეძენა, არამედ პატრიოტი მოქალაქეების აღზრდაცაა,“ – აღნიშნა მინისტრმა. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს კონკურსი მომავალ წელსაც გაგრძელდება, მადლობა გადაუხადა კონკურსში ჩართულ ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს და შემდგომი წარმატებები უსურვა.

აუდიტორიას, ასევე, მიესალმნენ 53-ე საჯარო სკოლის დირექტორი **გია კაშია** და 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი **გია მურღულია**. ჟიურის თავმჯდომარემ კონკურსის მიმდინარეობასა და შედეგებზე ისაუბრა.

ღონისძიების ფარგლებში, მოეწყო გამარჯვებული სკოლების ნამუშევრების პრეზენტაცია. დასკვნით ნაწილში გამარჯვებული სკოლები სპეციალური საჩუქრებითა და პრიზებით დაჯილდოვდნენ. კონკურსში მონაწილე ყველა სკოლას მადლობის სიგელები გადაეცა.



განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა წარმოსაჩენად

14-16 მაისს, თბილისში, ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა III საერთაშორისო კონკურსი გაიმართა, რომელიც საქართველოში, მეხუთე წელია, „ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობით იმართება. წელს ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო კონკურსში საქართველოს სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების, აგრეთვე, საზღვარგარეთის 21 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. კონკურსში, დაახლოებით, 54 პროექტი იქნა წარმოდგენილი.

კონკურსის მიზანი – გამომგონებლური და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ VIII-XII კლასელთათვის მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ინფორმატიკისა და ეკოლოგიის სფეროებში საკუთარი ნამუშევრების გამოფენის შესაძლებლობის მიცემა, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით მათი შეფასება და წახალისება, სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებაა.

ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა კონკურსი, 15 მაისს, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გაიხსნა, სადაც წარმოდგენილი სტენდების დათვალიერება და ნაშრომების შეფასება მოეწყო. შედეგების საბოლოო შეჯამებისა და პროექტების კატეგორიების მიხედვით შეფასების შემდეგ, 16 მაისს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. თითოეულ მოსწავლეს კონკურსში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცა. გამარჯვებულები ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ. აღსანიშნავია, რომ ჟიურიმ შვიდი საუკეთესო ნამუშევრის ავტორი გამოავლინა, რომლებსაც ევროკავშირის ელჩმა **პერ ეკლუნდმა** საჩუქრად ლეპტოპები გადასცა. შვიდი ლეპტოპიდან სამის მფლობელი ქართველი მოსწავლეები გახდნენ – **გიორგი მაზმიშვილი, ანა ნაჩხატაშვილი, მარი ლომთაძე,** დანარჩენი ოთხი კი – ავღანეთის, თურქეთის, ტაჯიკეთისა და პაკისტანის წარმომადგენლებს გადაეცათ.

გიული ალასანია, ჟიურის თავმჯდომარე: *აღსანიშნავია, რომ წლევანდელ კონკურსში 21 ქვეყანა მონაწილეობდა. უცხოელი ბავშვები ქართულ ოჯახებში ცხოვრობდნენ, რამაც საფუძველი ჩაუყარა ქართველი და უცხოელი ბავშვების მეგობრობას, სტუმრებმა იმაზე მეტი გაიგეს საქართველოს შესახებ, ვიდრე აქამდე იცოდნენ. ასეთი ურთიერთობები, მომავალში, ხელს შეუწყობს მშვიდობას მსოფლიოში. მეხუთე წელია, ოლიმპიადა წარმატებით ტარდება, ყოველწლიურად ფართო მასშტაბებს იძენს. ექსპერტების შეფასებით, წლევანდელ კონკურსში წარმოდგენილი ნამუშევრების დონე, გასულ წლებთან შედარებით, გაცილებით მაღალია. ოლიმპიადის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს იმ ახალგაზრდების წარმოჩენას, რომლებიც მეცნიერებისადმი განსაკუთრებული ნიჭით არიან დაჯილდოებულები.*

ირინა ქურდაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *მოხარული ვარ, ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა კონკურსში ამდენი ახალგაზრდა რომ მონაწილეობს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში კარგად გვაქვს გაცნობიერებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მსგავსი ღონისძიებების ჩატარება. მოხარული ვარ, რომ ოლიმპიადას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. მადლობა მინდა გადავუხადო სპონსორებს, რომელთა რაოდენობა იმაზე მიგვანიშნებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ახალგაზრდების განათლებაზე ზრუნვა. სასიხარულოა, რომ კონკურსში, ყოველწლიურად, უფრო და უფრო მეტი უცხოელი მოსწავლე მონაწილეობს. იმედი მაქვს, მომავალში, ოლიმპიადა კიდევ უფრო მასშტაბური და წარმატებული იქნება.*

პერ ეკლუნდი, ევროკავშირის ელჩი: *მიხარია, რომ ამდენ გამარჯვებულ ბავშვს ვხედავ ერთად. აქ ყველანი გამარჯვებულები არიან. ევროკავშირმა შვიდი საუკეთესო პროექტის ავტორებისთვის ლეპტოპები დააწესა, ჟიურის წევრებს ძალიან გაუჭირდათ შვიდი საუკეთესო ნამუშევრის არჩევა. კონკურსი მნიშვნელოვანია არა მარტო გამარჯვებულების გამოვლენით, არამედ იმითაც, რომ კონკურსანტი ბავშვები ერთმანეთს უმეგობრდებიან. ვიმედოვნებ, როცა უცხოელი მოსწავლეები თავიანთ ქვეყნებში დაბრუნდებიან თავიანთ თანატოლებს, ახლობლებს, პედაგოგებს საქართველოზე საუკეთესო შთაბეჭდილებებს გაუზიარებენ.*

ერთან თეზგორი, თურქეთის ელჩი საქართველოში: *ბავშვების შესაძლებლობებს საზღვარი რომ არ აქვს, ამაში ოლიმპიადამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა. უდავოა, რომ ეს ბავშვები, მომავალში, ადამიანებისთვის სასიკეთო ნაშრომებს შექმნიან. მინდა, ყველა მონაწილეს მივულოცო წარმატება. განსაკუთრებით კი დიდი მადლობა გადავუხადო ქალბატონ გიული ალასანიას, ჟიურის თითოეულ წევრს, წარმოდგენილი ნამუშევრების ობიექტური შეფასებისთვის. იმედი მაქვს, ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეები მომავალშიც არაერთხელ გვასახელებენ.*

გიორგი მაზმიშვილი, 149-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხაზვის წრის წევრი: *კონკურსზე წარმოვადგინე პროექტი – სავაჭრო ცენტრის გუმბათის კომპიუტერული ტრიდე ვერსია, მაკეტი, თემა და გეგმა. ჩემი პროექტი განსაკუთრებული იყო იმით, რომ მასში ძალიან ბევრი ინოვაცია იყო. ასეთ წარმატებას ნამდვილად არ ველოდი, ძალიან გამიხარდა, როცა ჩემი გვარი საუკეთესო შვიდი ნაშრომის ავტორთა შორის დასახელდა. ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა კონკურსში პირველად მივიღე მონაწილეობა. ბევრი უცხოელი მეგობარი შევიძინე, საინტერესო იყო ჩემთვის მათი პროექტების გაცნობა. კონკურსში გამარჯვებამ დიდი სტიმული მომცა. ახლა უკვე საოცნებო ლეპტოპიც მაქვს, რაც საშუალებას მომცემს, უფრო მეტი ცოდნა შევიძინო, კარგად ვისწავლო და სამომავლო გეგმები განვახორციელო. მინდა, არქიტექტორი გავხდე.*

მედიკო თედიაშვილი, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხაზვის კაბინეტის უფროსი პედაგოგი: *ასეთ წარმატებას ნამდვილად არ ველოდი. ჟიური ობიექტური იყო, მადლობელი ვარ, რომ ჩვენი შრომა დაფასდა. ჯილდოების გარდა ოლიმპიადაში მონაწილეობას იმ თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ქართველმა და უცხოელმა ბავშვებმა ერთმანეთი გაიცნეს და დამეგობრდნენ კიდეც. თბილი ურთიერთდამოკიდებულება, ჟიურის ობიექტური შეფასებები, დადებითად მოქმედებს მოსწავლეების ფსიქოლოგიურ განვითარებაზე. გიორგიმ ძალიან ბევრი უცხოელი მეგობარი შეიძინა, მათთან ურთიერთობას მომავალშიც გააგრძელებს. ჩვენ კი გამარჯვებამ ისეთი სტიმული მოგვცა, რომ მომავალში კიდევ უფრო წარმატებულები ვიქნებით.*

ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა III საერთაშორისო კონკურსის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; „ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებები; საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“; საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა და ფირმა „ჯეოსელი“

მაკა ყიფიანი

გზა, რომელიც ყველაზე ბოლოს წყდება

15 მაისს, სასტუმრო „ვერე პალასში“ პროექტის Loft მოხალისეების შემაჯამებელი პრეზენტაცია გაიმართა. Loftჯგუფის წევრებმა: **მარიანა ხალათიანმა, ირინა პოლუხინამ, თაკო ბოჭორიშვილმა, გიორგი მირცხულავამ, პეტრე ნებიერიძემ** და **ერნესტ პეტროსიანმა** ექვსთვიანი მუშაობის შედეგები წარუდგინეს დამსწრე საზოგადოებას. მათი საქმიანობა სხვადასხვა სოციალური, ეთნიკური და კულტურული წარმომავლობის ადამიანების დაკავშირებას გულისხმობდა. ჯგუფის ხელმძღვანელი იყო **ნინო აზმაიფარაშვილი**. პროექტის ფარგლებში ბევრი საინტერესო ღონისძიება გაიმართა, შეიქმნა პროექტის ლოგო, ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა – ერნესტ პეტროსიანმა პროექტის ჰიმნიც კი დაწერა.

ქეთი გეგიძე და ნინო აზმაიფარაშვილი Loftჯგუფის წევრებთან ერთად

პროექტი Loft, ბრიტანეთის საბჭოს პროექტის „ვიცხოვროთ ერთად“ ნაწილია, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონულ პროექტებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში ახალგაზრდა ლიდერების წარმოჩენას, განსაკუთრებით უმცირესობათა და მიგრანტ საზოგადოებებში. პროექტი მარტივი იდეით შემოიფარგლება – შექმნას ახალგაზრდების გუნდი, რომლებიც უკეთ გაიცნობენ ერთმანეთს და ერთად მუშაობისას დაძლევენ ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ და სოციალურ ბარიერებს. პროექტი, ასევე, კულტურათა შორის დიალოგის გლობალურ საკითხებსაც ეხმაურება. პროექტის დასახელება Loft ასე იშიფრება – „გადავხტეთ ერთად რწმენით“.

პროექტი, ერთდროულად, 5 ქვეყანაში მიმდინარეობდა: აზერბაიჯანი, სომხეთი, ისრაელი, საქართველო და, რა თქმა უნდა, დიდი ბრიტანეთი.

პრეზენტაციის დაწყებამდე ბრიტანეთის საბჭოს პროექტებისა და რესურსების მენეჯერს, **ქეთი გეგიძეს** ვთხოვეთ მოკლე კომენტარი: *„პროექტი Loft უფრო დიდი პროექტის – „ვიცხოვროთ ერთად“ ერთ-ერთი ნაწილია და ბრიტანეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ხორციელდება. Loftჯგუფში 7 მოხალისე ახალგაზრდა გაერთიანდა. მათ განახორციელეს პროექტი, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი მშობელთა ზრუნვას მოკლებული და იძულებით გადაადგილებული ბავშვების დახმარება იყო. გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები, რომელთა შესახებ ჯგუფის წევრები დღევანდელ პრეზენტაციაზე ისაუბრებენ. ჯგუფს ჰყავდა ხელმძღვანელი – ჟურნალისტი ნინო აზმაიფარაშვილი, რომელიც მათ მუშაობას წარმართავდა და რჩევებს აძლევდა. დღეს მათი მუშაობის დამაგვირგვინებელი პრეზენტაცია იმართება.“*

საღამო გახსნა ბრიტანეთის საბჭოს დირექტორის მოადგილემ, **მაია ყიფშიძემ**: *„ქალბატონებო და ბატონებო, დიდი მადლობა, რომ მობრძანდით. აქ დამსწრეთა უმეტესობა იცნობს პროექტს, რომელსაც ჰქვია „ვიცხოვროთ ერთად“ და იმ კომპონენტებს, რომლებსაც ეს პროექტი მოიცავს. ბევრი თქვენგანი ესწრებოდა ქარვასლაში ჩვენს გამოფენას, რომელმაც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მოიარა. ვხედავ იმ ადამიანებსაც, ვინც საგამოფენო დარბაზ „არსში“ გამართულ გამოფენას დაესწრო, რომელიც ჩვენმა მოხალისეებმა მოამზადეს. ამ ახალგაზრდებმა არაჩვეულებრივი იდეები განახორციელეს და თავისივე მოგონილ 7 პროექტს გაუძღვნენ. მინდა მივესალმო მათ.*

ბევრ დროს არ წაგართმევთ, რადგან ძირითადი სიტყვა Loftჯგუფის წევრებს ეთქმით. დღევანდელი დღე პროექტის ერთგვარი ანგარიშია, შეჯამება. თითოეული მათგანი არაჩვეულებრივი ფორმით – ფოტოკოლაჟით წარმოგიდგენთ ანგარიშს. ისინი თავად მოგიყვებიან თავიანთი საქმიანობის შესახებ. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო პროექტი გამოვიდა. ერთმანეთს ესაუბრებოდა ახალგაზრდათა ჯგუფი 5 ქვეყნიდან, გაცვლითი ვიზიტებითაც ესტუმრნენ ერთმანეთს და ძალიან კმაყოფილები დარჩნენ.“

შემდეგ სტუმრებს Loftჯგუფის ხელმძღვანელმა, **ნინო აზმაიფარაშვილმა** მიმართა: *„ჩვენი პროექტი ექვსი თვის განმავლობაში გრძელდებოდა და დღეს დასრულდა. Loft ახალგაზრდული პროექტია და მასში 20-25 წლამდე ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. ჯგუფი კონკურსის წესით შეირჩა. ძირითადი პრინციპი იყო, შეგვერჩია ერთმანეთისგან განსხვავებული ტიპაჟები. საკმაოდ დიდი კონკურსი იყო. შევარჩიეთ 7 ახალგაზრდა, საკმაოდ წარმატებული თავიანთ პროფესიაში. მიუხედავად ამისა, მათ გამონახეს დრო და, როგორც მოხალისეებმა, იმუშავეს ამ პროექტზე. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ მათ პროექტზე მუშაობის პერიოდში გარკვეული, თუნდაც მცირე, ტრანსფორმაცია განიცადეს სიკეთისკენ და რამდენადაც შეეძლოთ, თავიანთი წვლილი შეიტანეს საზოგადოების მშენებლობაში.*

მინდა, პროექტზე მუშაობის სამი ასპექტი გამოვყო: პირველი – ჯგუფში ერთი იდეის ირგვლივ გაერთიანებული, გუნდური მუშაობა მიზნის მისაღწევად, მოხალისეობა; მეორე – ჯგუფის მუშაობა საზოგადოებასთან, რათა საზოგადოება უფრო მეტად შეიკრას და გაერთიანდეს; მესამე – ჯგუფის გასვლა ინტერკულტურულ დიალოგზე, ანუ მათი ურთიერთობა უცხოელ თანატოლებთან. მნიშვნელოვანია, რომ ქართული კულტურა სხვა ხალხებმა უკეთ გაიცნონ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ინტერკულტურული დიალოგი, რომლის გამართვა ევროგაერთიანების ერთ-ერთი სამოქმედო გეგმაა. ჩვენს სამოქმედო გეგმადაც კულტურა ავირჩიეთ, რადგან ეს ადამიანების დაახლოების საუკეთესო გზაა.

პროექტი, მოგეხსენებათ, 5 ქვეყანაში მიმდინარეობდა. საქართველომ, წელს, პირველად მიიღო მონაწილეობა Loft-ში. ჩვენი გუნდი გაემგზავრა სომხეთში, ხოლო უელსელები საქართველოს სტუმრობდნენ. ამის შესახებ თვითონ ჯგუფის წევრები უკეთ მოგითხრობენ.

კიდევ ერთხელ მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება იმაზე, რომ ამ ადამიანებმა, 6 თვის განმავლობაში, მოხალისეებად იმუშავეს. მოხალისეობა უანგარო დახმარებას გულისხმობს, თუნდაც უცნობი ადამიანების. საქართველოში, ჯერჯერობით, სამწუხაროდ, მოხალისეობის ინსტიტუტი არც თუ ისე კარგად მუშაობს და ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ ფართოდ განვითარდეს. პროექტის მონაწილეების მთავარი მიზანი იყო – საზოგადოების წევრებს ერთმანეთის მიმართ მეტი თანაგრძნობა გაუჩნდეთ, რომ საზოგადოება უფრო შეკრული და ერთიანი იყოს.

ჩავატარეთ რამდენიმე აქცია. ჩვენი სამიზნე ჯგუფი იყვნენ ბავშვები. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არიან იძულებით გადაადგილებული ბავშვები. სწორედ ასეთ ბავშვებთან ვიმუშავეთ და კიდევ მათთან, ვინც თავშესაფრებში ცხოვრობენ და მშობლები არ ჰყავთ. ამ აქციების შესახებ უფრო დეტალურად პრეზენტაციის მსვლელობისას მოგითხრობენ.

ჩვენი საქმიანობა მხოლოდ ამ აქციებით არ შემოიფარგლებოდა, მაგრამ დღეს ამის შესახებ საჭიროდ არ მივიჩნიეთ საუბარი. დარწმუნებული ვარ, რომ Loftჯგუფის თითოეული წევრი, მომავალში, წარმატებული ადამიანი იქნება, ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ახალგაზრდები აუცილებლად შეიტანენ გარკვეულ სასიკეთო წვლილს საზოგადოების მშენებლობაში. რაც მთავარია, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ Loft შედგა.

ჩვენს შემდგომ საქმიანობაში ყოველთვის გავატარებთ იმ იდეას, რომელიც პროექტის მთავარი იდეა იყო – კულტურა არის მთავარი, ეს ის გზაა, რომელიც ორ ადამიანს შორის ყველაზე ბოლოს წყდება. დღევანდელი კონფლიქტების პერიოდშიც, ალბათ, კულტურა იქნება ის უკანასკნელი ძაფი, რომელიც გაწყდება. კულტურა ყოველთვის ურთიერთობის საუკეთესო ენა იქნება.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბრიტანეთის საბჭოს, რომელიც ახორციელებს გრძელვადიან პროექტებს სხვადასხვა ქვეყნებთან, აახლოებს ქართულ-ბრიტანულ კულტურას და შემოქმედებით იდეებს ნერგავს.“

პრეზენტატორებმა ორიგინალური ფორმით წარმოადგინეს ჩატარებული მუშაობის ერთგვარი ანგარიში – 3-5-წუთიანი პრეზენტაციები ფოტოკოლაჟის ჩვენებით გაიმართა. სამწუხაროდ, პრეზენტაციას არ ესწრებოდა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი – **მარგო შაქარაშვილი**.

პეტრე ნებიერიძის პრეზენტაცია პირველი საქველმოქმედო აქციის გაცნობას ისახავდა მიზნად, რომელიც 8-დან 15 წლამდე ასაკის იძულებით გადაადგილებული ბავშვებისთვის გაიმართა. ეს მოზარდები აჩაბეთიდან, ნუნიდან, ქსუისიდან და ავნევიდან, აგვისტოს ომის შემდეგ, სახელმწიფოს მიერ აშენებულ დროებით საცხოვრებელ ადგილებში ცხოვრობენ.

გიორგი მირცხულავამ Loftჯგუფის მიერ ორგანიზებული კიდევ ერთი აქცია გააცნო სტუმრებს, რომელშიც თბილისელ ბავშვებთან ერთად, ასევე, კონფლიქტის ზონიდან იძულებით ადგილნაცვალი ბავშვები მონაწილეობდნენ. მათ წინასწარ მიცემულ თემებზე დახატეს ნახატები, რომლებიც შემდეგ გალერეა „არსის“ საგამოფენო დარბაზში გამოიფინა. ექსპოზიციას ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა.

მარიანა ხალათიანმა უელსელი თანატოლების საქართველოში ვიზიტზე ისაუბრა, ხოლო Loftჯგუფის წევრების სომხეთში სტუმრობა ერნესტ პეტროსიანის პრეზენტაციის თემა იყო.

ირინა პოლუხინა პოლონეთში, კრაკოვში, პროექტ „ვიცხოვროთ ერთად“ ფარგლებში, ჩატარებული კონგრესის მონაწილე იყო. მან დამსწრე საზოგადოებას შთაბეჭდილებები გაუზიარა.

თაკო ბოჭორიშვილმა წარმოადგინა საქველმოქმედო ღონისძიებები, რომლებიც მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის გაიმართა და მიზნად ისახავდა კულტურის ძეგლების გაცნობას. ერთი დღის განმავლობაში მათ მოინახულეს მცხეთა, სვეტიცხოველი, ესტუმრნენ მუზეუმს, იყვნენ მაკდონალდსში და ა.შ.

პრეზენტაცია Loftჯგუფის ჰიმნით დასრულდა, რომელიც ერნესტ პეტროსიანთან ერთად თაკო ბოჭორიშვილმა და მარიანა ხალათიანმა ჩაწერეს.

საღამოს ესწრებოდა სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში **იულონ გაგოშიძე.** სტუმართა შორის იყვნენ იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებთანაც პროექტის მიმდინარეობისას თანამშრომლობდნენ Loftჯგუფის წევრები.

ნანა იაშვილი, ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ ხელმძღვანელი: *„ძალიან კმაყოფილი ვართ, რომ ჩვენი სარეაბილიტაციო ცენტრის – „ბელურების“ აღსაზრდელებმა ასეთ კარგ პროექტში მიიღეს მონაწილეობა. დაუახლოვდნენ პროექტის მონაწილეებს. ისინი შესანიშნავი ახალგაზრდები არიან. მიუხედავად იმისა, რომ მათი კონტაქტი მხოლოდ ორი დღე გრძელდებოდა, ძალიან დაახლოვდნენ. ჯგუფის წევრებმა მოინდომეს და კიდევ ერთხელ მოინახულეს ჩვენი ბავშვები. პატარები აღფრთოვანებულები იყვნენ, ასეთი ბედნიერი დღეები რომ გაატარეს და ძალიან ბევრი რამის ნახვისა და გაგების საშუალება მიეცათ. დიდი მადლობა ბრიტანეთის საბჭოს დაუვიწყარი დღეებისთვის.“*

პროექტი Loft საქართველოში ნამდვილად შედგა. გვჯერა, რომ გამართლდება Loftჯგუფის ხელმძღვანელის, ნინო აზმაიფარაშვილის სიტყვები და პროექტის თითოეული წევრი, მომავალში, წარმატებული ადამიანი იქნება.

ლალი თვალაგეიშვილი

გამოკითხვა

რას ფიქრობენ პედაგოგები

სახელმძღვანელოების, ეროვნული გამოცდების და თორმეტწლიანი სწავლების შესახებ

ქუთაისის №31 საჯარო სკოლა

ზეინაბ ფოფხაძე
ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი:

ბევრი ითქვა და დაიწერა XII კლასისა და ქართულის სახელმძღვანელოს შესახებ. ვისაც კი ამ სახელმძღვანელოსთან შეხება აქვს, ვფიქრობ, ყველას მეტ-ნაკლებად აწუხებს, რომ მასალა, რომელიც წიგნშია წარმოდგენილი, არანაირად არ შეიძლება შესწავლილ იქნეს ერთ სასწავლო წელში. სავსებით ვეთანხმები 2008 წლის „ახალ განათლებაში“ (№37) გამოქვეყნებულ წერილს „არაჩვეულებრივი საკითხავი წიგნი და არა სახელმძღვანელო“, რომელშიც თბილისის 24-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგთა ერთიანი აზრია წარმოდგენილი.

პირადად მე, კიდეც რომ არ ვასწავლიდე XII კლასს, აუცილებლად შევიძენდი ამ, მართლაც, არაჩვეულებრივ წიგნს, იმისთვის, რომ მისით „ნაკვები“ შევსულიყავი ყველა კლასში.

მოსწავლეებშიც დიდი ინტერესი გამოიწვია ამ წიგნმა. მშობლებსაც მოვუწოდე წაეკითხათ, რადგან წინა თაობებს ნამდვილად არ ჰქონია ბედნიერება, ასეთი მეთოდებითა და რუდუნებით შექმნილ წიგნებში ჩაეხედა. ეს წიგნი ნამდვილად არის ცხოვრების მეგზური, დამკვალიანებელი და ა.შ. ერთი სიტყვით, 24-ე საჯარო სკოლის (თბილისი) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა გვერდით ვდგავარ.

რაც შეეხება სკოლებში XII კლასელთა დასწრებას გაკვეთილებზე, ამასაც ნუ დააბრალებენ მხოლოდ XII კლასის სახელმძღვანელოებს, რადგან არ იყო XII კლასი, მაგრამ იყო დასწრების პრობლემა.

მიზეზი: სკოლებში, სადაც არის მკაცრი დისციპლინა და მოთხოვნები, ზოგიერთი მოსწავლე XII კლასში ნაკლებად რჩება, რადგან თავისუფალი დასწრების მხრივ ღია აქვთ კარი კერძო და „უშიშარ“ სკოლებს, ბავშვებიც მიდიან... გადავიდნენ ჩვენი სკოლიდანაც. წასულებს არც დაუმალავთ, რომ ისინი მიდიოდნენ იქ, სადაც მათ გაკვეთილებზე დასწრებას მკაცრად არ მოსთხოვდნენ.

ცოტაც რეპეტიტორობაზე: არც ეს საკითხია XII კლასის არსებობის ბრალი. ვის შეუძლია, დაასახელოს დრო, როცა რეპეტიტორობა არ იყო?! ემზადებოდნენ ბავშები, დამატებით იღრმავებდნენ ცოდნას, კონკურსი დიდი იყო, მაგრამ ვინ გაბედავდა გაკვეთილის გაცდენას? ასწრებდნენ ისინი სკოლაში სიარულსაც და მეცადინეობასაც.

რომელ მასწავლებელს სურს რეპეტიტორობა? რეპეტიტორობა იძულებითია; მასწავლებელი, თავისი პირობებიდან გამომდინარე, იტვირთავს თავს. განა არ იცის მავანმა და მავანმა, რა ღირს სასწავლო სახელმძღვანელოები და ის უამრავი დამატებითი ლიტერატურა, რითაც ყოველდღიურად „იკვებება“ მასწავლებელი? რამდენჯერ პირადი დაუთმია მასწავლებელს და ძვირადღირებულ წიგნში გადაუხდია ფული?

მხოლოდ XII კლასელები ემზადებიან? ოჯახები მასწავლებლებს ეძებენ, რადგან დღევანდელ პირობებში მშობლებს აღარ აქვთ დრო შვილებთან დასასხდომად. ან სადღაა მშობელი? ვინც შრომისუნარიანია, საზღვარგარეთაა გასული შვილების მომავლის გადასარჩენად. შვილები კი ბებია-ბაბუებს დარჩათ საპატრონოდ და სწორედ მათ ამარა დარჩენილი ბავშვები (I-II საფეხურზეც) ემზადებიან მასწავლებლებთან ყველა საგანში.

XII კლასი თითქმის არაფერ შუაშია. საჭიროა „თავისუფლების“ აღკვეთა „თავისუფლებისმოყვარე“ სკოლებში. მოსწავლეებიც მაქსიმალურად გამოიყენებენ დროს და უფრო უკეთ მოასწრებენ ყველაფერს. მოსწავლეებს, ვფიქრობ, გაუდით და გადიან იოლად.

ნანული რიჟამაძე
მათემატიკის პედაგოგი:

XII კლასის მათემატიკის სახელმძღვანელო მოიცავს დიდ მასალას, რომლის ამოწურვაც ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლებელია, თანაც XII-კლასელთათვის სასწავლო წელიც შედარებით ადრე მთავრდება.

სახელმძღვანელო მოითხოვს დახვეწას, კვირეული დატვირთვა 4 საათი არ არის საკმარისი. მე, როგორც პრაქტიკოს მასწავლებელს, არანაირად არ მყოფნის საათები.

მაგალითად, § 5.2. კოორდინატები სივრცეში. სავარჯიშოთა რაოდენობა 44+16=60 (16 გამეორების ამოცანა) დათმობილი აქვს სულ 2 სთ.

§ 5. 3. ვექტორებისა და კოორდინატების გამოყენება. სავარჯიშოთა რაოდენობა 25+7=32. დათმობილი აქვს 2 სთ.

§ 5.4 ცილინდრი, კონუსი. სავარჯიშოთა რაოდენობა 36 – დათმობილი აქვს 2 სთ.

§ 5.5. ბირთვი, სფერო. 30 ამოცანა – 2 სთ.

§ 5.6 მოცულობა – 108 ამოცანა – 3 სთ.

მე-5 თავი მთლიანად გადატვირთულია, საათები კი – მცირე.

მე-6 თავი. მონაცემთა ანალიზი და სტატისტიკა. § 6.1. პოპულაცია და შერჩევა შეიძლება მთლიანად ამოვიღოთ.

ალბათობაში მოცემულია ბერნულის თეორია (დიდ რიცხვთა კანონი), მარტო ფორმულაა. ეს გაუგებარია და რთული მოსწავლეთათვის.

დასკვნით გამეორებაში სულ 135 სავარჯიშოა + 13 ტესტი. თითოეულ ტესტში 14 ამოცანაა. მარტო მე-13 ტესტში კიდევ 41 ამოცანა, მე-14 ტესტში 45 ამოცანა.

გამეორებისთვის დრო არ რჩება. ნახევარი წელი მაინც მხოლოდ გამეორებას უნდა დაეთმოს.

ვექტორულ ალგებრაშიც ამოცანების რაოდენობა დიდია და რთული, დრო კი – არასაკმარისი.

საერთოდ ამ ავტორთა წიგნები მასალის დიდი მოცულობით გამოირჩევა (VII- VIII-IX-X-XI), რასაც კვირეული 4 საათი არ ჰყოფნის. აუცილებელია საათების მომატება და თეორიის დახვეწა.

მათემატიკური საგნები – არითმეტიკა, ალგებრა, ელ. ფუნქციები, აგრეთვე პლანიმეტრია, სტერეომეტრია და ტრიგონომეტრია, თავის სავარჯიშოებთან ერთად, გაერთიანებულია, ერთ წიგნად და ამ საგნების გაერთიანებას დაემატა კიდევ ახალი საგნები: სიმრავლეთა თეორია, ალბათობა, გრაფთა თეორია და ლოგიკა, მოდულური არითმეტიკა, მონაცემთა ანალიზი და სტატისტიკა, კომბინატორიკა და, თანამედროვე ტექნოლოგიით რომ ვთქვათ, 12 საგანი გაინტეგრირეს ერთ წიგნად. ეს წიგნი ზომით, წონით, მოცულობით კოლოსალურია, რომლის ტარებაც ბავშვებს ძალიან უჭირთ (სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მოსწავლეთა 60-70%-ს წიგნი არ აქვს, არადა უიმისობა დიდ სიძნელეს გვიქმნის).

რაც შეეხება მე-12 კლასის არსებობას, ამ ფორმით, სახელმძღვანელოებით ვფიქრობ, არაა გამართლებული. იდეა სხვა იყო, ჩვენი და მოსწავლეთა მოლოდინიც სხვა იყო.

სასურველი იყო მე-12 კლასში წიგნის ავტორებს შემოეთავაზებინათ ისეთი სახელმძღვანელო, რომლითაც სკოლაშიც ესწავლათ და მისაღები გამოცდებისთვისაც გამოდგომოდათ.

რუსუდან ქუთათელაძე
ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი:

მე-12 კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელომ მოსწავლე ახალგაზრდებში აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთი შეხედვით, გასაკვირიც არაფერია. სახელმძღვანელო თემატურად, მართლაც, მრავალფეროვანია და საინტერესოდაა შედგენილი. მასში წარმოდგენილი თანამედროვე ქართველი თუ უცხოელი მწერლების კლასიკური ნიმუშები საშუალებას იძლევა, განავითაროს მოსწავლის კრიტიკული აზროვნებისა და მსჯელობის უნარი, ისწავლოს ფიქრი, თავისებურად გაიაზროს ცხოვრებისეული პრობლემები და გზა გაიკაფოს მერმისისაკენ.

ერთი შეხედვით, დროულიცაა ასეთი სახელმძღვანელოს შექმნა, რადგან ჩვენი ახალგაზრდობა კომპიუტერული ტექნიკით არის გატაცებული და მხატვრული ლიტერატურის კითხვა დიდად არ ხიბლავთ. წიგნი კი შეუცვლელია.

მე-12 კლასის სახელმძღვანელო საინტერესოდ კი არის შედგენილი, მაგრამ მოსწავლემ მასში ვერ ნახა ის, რაც მხოლოდ პრაქტიკული ცოდნისთვის, გამოცდების ჩასაბარებლად გამოადგება. ყოველივე ამან რეპეტიტორთან მისვლა განაპირობა და ერთგვარ მოდურადაც კი იქცა ე.წ. რეპეტიტორებთან „სირბილი“. სკოლა ყოველთვის იყო, არის და იქნება ცოდნის მიღების ერთადერთი და უტყუარი გზა.

წიგნის პრაქტიკულ ღირებულებას კიდევ უფრო გაზრდის, თუკი დაიხვეწება და დაიტვირთება საპროგრამო ლიტერატურული ნაწარმოებებით.

რაც შეეხება 12-წლიან სწავლებას, მიმაჩნია, რომ უფრო მრავალფეროვანი უნდა იყოს, დროსაც უკეთ გაანაწილებენ მოსწავლეები, გარკვეული დოზით ცოდნას მიიღებენ პრაქტიკული საქმიანობისთვის და სწავლებაც უფრო საინტერესო გახდება.

ზაზა ლეთოდიანი
ისტორიის პედაგოგი:

XII კლასმა მთელ ქვეყანაში დიდი კამათი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამ საკითხზე ყველა მსჯელობს და თავის აზრს ღიად აფიქსირებს, კომპეტენტურიც და არაკომპეტენტურიც. სამწუხაროდ, საზოგადოების საკმაო ნაწილი თავისი შეხედულებებით უფრო არაინფორმირებულობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ერთი ნაწილი კი ყოველივე ამას თავის მიზნებისათვის იყენებს. პირველ რიგში, მინდა ხაზი გავუსვა ყბადაღებულ საბჭოთა განათლების სისტემას, რომლითაც თავს იწონებენ ის ადამიანები, რომლებიც სწორედ XII კლასის შემოღების იდეას უყურებენ სკეპტიკურად.

მე-12 კლასის ქართულის სახელმძღვანელო საინტერესოდ კი არის შედგენილი, მაგრამ მოსწავლემ მასში ვერ ნახა ის, რაც მხოლოდ პრაქტიკული ცოდნისთვის, გამოცდების ჩასაბარებლად გამოადგება.

საინტერესოა ერთი კითხვა ამ ადამიანების მიმართ – თუ ქვეყანა თავისი იდეოლოგიით, წყობილებით და ადამიანური ურთიერთობებით აღმოჩნდა სწრაფად ნგრევადი, როგორ შეიძლება მისი განათლების სისტემა იყოს კეთილად მოსაგონებელი? კარგ განათლების სისტემას შედეგად განათლებული ადამიანები უნდა მოჰყვეს, თუმცა რასაც საბჭოთა პერიოდში ვხედავდით და მისი დანგრევის შემდეგაც ვხედავთ, ძნელია მასზე დადებითი შთაბეჭდილების შექმნა.

რაც შეეხება წლევანდელ წელს, XII კლასმა ნაწილობრივ გაამართლა, უპირველესად ამას ხელი შეუშალა იმან, რომ თავიდანვე საზოგადოების დიდ ნაწილში, მათ შორის მოსწავლეებშიც, ჩამოყალიბდა XII კლასის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება. არადა, წესით აბიტურიენტებისათვის თითქოს მეტი დრო არის მოცემული ეროვნული გამოცდებისათვის. სამწუხაროდ, მოსწავლეებში და მათ მშობლებში არის ჩამოყალიბებული სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ რეპეტიტორის გარეშე შეუძლებელია უმაღლეს სასწავლებელში შეღწევა. შესაძლოა ვინმემ იკითხოს, თუ სკოლა ვერ აძლევს საჭირო განათლებას მოსწავლეს, მაშინ რა უნდა ვიღონოთო?! თუმცა კითხვა ალოგიკურია, რადგანაც მოსწავლეც და მშობელიც დღევანდელი კანონმდებლობით უფლებამოსილია მოითხოვოს სკოლიდან იმ ხარისხის განათლების მიღება, როგორიც სურს. აქ ვაწყდებით კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რატომღაც ჩვენში მიიჩნევა, რომ თითქოს სკოლაში სწავლა უფასოა. სამწუხაროდ, დიდი ნაწილი ვერ ხვდება, რომ სახელმწიფოსაგან მიღებული ვაუჩერი ეს მათ მიერვე გაღებული ფულია გადასახადების სახით. ამიტომაც ალბათ დროა, სახელმწიფომ იფიქროს იმის შესახებ, რომ განათლების სისტემა კერძო სექტორის ხელში გადავიდეს.

XII კლასის ისტორიის სახელმძღვანელოები ძალზე კარგად არის შედგენილი. მართალია, ამ წიგნებს უნაკლობაზე პრეტენზია ვერ ექნებათ, მაგრამ ფაქტია, რომ მათი შესწავლით მეთორმეტეკლასელებს ეძლევათ საშუალება, გაეცნონ XX საუკუნის თითქმის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას და ცნობილი მოაზროვნეების შეფასებებს ამ მოვლენებთან მიმართებაში. საერთო ჯამში ფაქტი ერთია, რომ სიახლე აუცილებელი იყო, ხოლო მის შედეგებზე საუბარი ახლა მართებული არ იქნება.

გულნარა მამრიკიშვილი
მათემატიკის პედაგოგი:

მათემატიკის სწავლებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. შეიცვალა სახელმძღვანელოები მათემატიკის სწავლება ამ სახელმძღვანელოებით თითქმის ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ისეა შერჩეული ტესტები და სავარჯიშოები, მაგრამ იმდენად ბევრია საპროგრამო მასალა, რომ ყველა მაინც ვერ აღწევს საპროგრამო დონეს, რათა შეძლოს სწავლის გაგრძელება.

XII კლასის მათემატიკის სახელმძღვანელო მოიცავს დიდ მასალას, რომლის ამოწურვაც ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლებელია. საერთოდ ამ ავტორთა წიგნები მასალის დიდი მოცულობით გამოირჩევა (VII- VIII-IX-X-XI), რასაც კვირეული 4 საათი არ ჰყოფნის.

თორმეტი წელი დიდი დროა. მოსწავლეებს დაეკარგათ სწავლისადმი ინტერესი. ისინი ცდილობენ, თავი შეაფარონ იმ სკოლებს, სადაც ნაკლები მოთხოვნებია, თუნდაც სკოლაში სიარულზე. როდესაც ერთ ჩემს მოსწავლეს საყვედური ვუთხარი, გაკვეთილები რომ გააცდინა, მისგან ასეთი პასუხი მივიღე: „შევცდი, რომ დროზე არ წავედი იმ სკოლაში, სადაც არ მომთხოვდნენ სკოლაში სიარულს“.

ჩემი აზრით, თუკი იქნება მე-12 კლასი, ეს უნდა იყოს მოსამზადებელი პერიოდი მისაღები გამოცდებისათვის იმ პროგრამით, რა პროგრამითაც ხდება გამოცდების ჩაბარება უმაღლეს სასწავლებელში. ამით მოსწავლეებს მე-12 კლასში გაუჩნდებათ სკოლაში სიარულის სურვილიც და სწავლისადმი ინტერესიც.

ლელა კინწურაშვილი
ისტორიის პედაგოგი:

XII კლასში ისტორია სავალდებულო საგანია. მიმდინარე სასწავლო წელს მივიღეთ ახალი სახელმძღვანელო „უახლესი ისტორია“, ავტორები: გვანცა აბდალაძე, ნინო კვიტაიშვილი, ბონდო კუპატაძე, ქეთევან ჯანუაშვილი. მასში გადმოცემულია XX ს.-ის მსოფლიოს და საქართველოს ისტორიის საკვანძო მოვლენები. სახელმძღვანელო შედგენილია და ეყრდნობა უცხოენოვან ლიტერატურას, დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების უახლეს საგამომცემლო პროდუქციას. თითოეულ გაკვეთილს თან ერთვის მდიდარი

დასასრული მომდევნო გვერდზე

რაც შეეხება სკოლებში XII-კლასელთა დასწრებას გაკვეთილებზე, ამასაც ნუ დააბრალებენ მხოლოდ XII კლასის სახელმძღვანელოებს, რადგან არ იყო XII კლასი, მაგრამ იყო დასწრების პრობლემა.

გამოკითხვა

რას ფიქრობენ პედაგოგები

სახელმძღვანელოების, ეროვნული გამოცდების და თორმეტწლიანი სწავლების შესახებ

ფოტომასალა და რუკები. სახელმძღვანელო, რასაკვირველია, ფაქტოლოგიური კუთხით ვერ ამოწურავს XX ს.-ის ისტორიის ვერც ერთ სფეროს, ეს სახელმძღვანელოს ფარგლებში არც არის შესაძლებელი და ალბათ, არც ავტორებს ჰქონიათ ასეთი განზრახვა.

მაგრამ XII კლასის მოსწავლეებს, რომლებიც ვალდებულნი არიან ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს ისტორიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში, არ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ ამ სახელმძღვანელოთი საპროგრამო მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი, რეპროდუცირება მოახდინონ.

სამწუხაროა, მაგრამ დღეს მე-12 კლასის მოსწავლეები ცდილობენ, იქ შეაფარონ თავი, სადაც ნაკლებად მოთხოვენ მათ ყველა საგანში საპროგრამო მასალის სრულ ამოწურვას.

საჭიროდ ვთვლი ვთქვა, თუ ყველა მოსწავლეს ეცოდინება, რომ მას თანაბარი სასწავლო გარემო აქვს ყველგან, ის შეძლებს მე-12 კლასის პროგრამის და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას.

ქუთაისის №38 საჯარო სკოლა

გურანდა დანელია

საბუნებისმეტყველო კათედრის ხელმძღვანელი,

ნინო მეშველიანი,

ლალი გოლეთიანი

კათედრის წევრები:

სახელმწიფოს ეკონომიური ზრდა დამოკიდებულია მისი მოქალაქეების განათლებასა და შრომისუნარიანობაზე. მრავალი ქვეყნის მაგალითზე დადგინდა, რომ ზოგადი განათლების ხანგრძლივობა დამოკიდებულია ეკონომიკის წარმატებაზე. ჩემი აზრით, როგორც მასწავლებელი, ვფიქრობ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის საჭიროა მეტად განათლებული თაობა. ყოველივე ამის მიღწევა თერთმეტწლიანი სწავლებითაც შესაძლებელია, თუკი ეს მოსწავლეს უნდა.

ჩემი აზრით, თუკი იქნება მე-12 კლასი, ეს უნდა იყოს მოსამზადებელი პერიოდი მისაღები გამოცდებისათვის იმ პროგრამით, რა პროგრამითაც ხდება გამოცდების ჩაბარება უმაღლეს სასწავლებელში. ამით მოსწავლეებს მე-12 კლასში გაუჩნდებათ სკოლაში სიარულის სურვილიც და სწავლისადმი ინტერესიც.

საბუნებისმეტყველო საგნები XI-XII კლასებში ისწავლება, როგორც არჩევითი საგანი. ასე რომ, ამ სწავლების მიხედვით საგნის არჩევა ხდება მოსწავლის სურვილით. სახელმძღვანელოებიც არ არის სრული და მორგებული სასწავლო პროგრამას. ასე რომ, ამ მხრივ ბევრი რამ შესაცვლელია, თუკი გვინდა უკეთესი შედეგების მიღება.

ირმა ჭუმბურიძე

ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი:

ჩემი აზრით, მე-12 კლასის სახელმძღვანელო ქართულში შედგენილია ძალზე საინტერესოდ და მოსწავლეს საშუალებას აძლევს, გაეცნოს არა მარტო ქართველი მწერლების, არამედ უცხოელი მწერლების შემოქმედებას; თუმცა, იმის გამო, რომ სახელმძღვანელოში შეტანილი მასალა არ პასუხობს ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ შემოთავაზებულ საგამოცდო პროგრამას (პასუხობს სტანდარტის მოთხოვნას), მოსწავლე ვერ იღებს მე-12 კლასში ეროვნული გამოცდებისათვის აუცილებელ ცოდნას და იძულებულია, მოემზადოს რეპეტიტორთან. ამდენად, მიუხედავად სახელმძღვანელოს საინტერესო თემატიკისა, იგი ამ ეტაპზე დამხმარე ან კლასგარეშე სახელმძღვანელოდ თუ გამოდგება. თუმცა, ისევ ვიმეორებ, რომ პროგრამა ძალზე საინტერესოა, მაგრამ მასალა სასურველი იქნებოდა შეტანილი ყოფილიყო ეროვნული გამოცდების საკითხების მიხედვით.

12-წლიანი სწავლება გამართლებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ მისაღები გამოცდებისათვის მზადებაში დაეხმარება მოსწავლეებს და მათ არ დასჭირდებათ რეპეტიტორებთან დამატებით ხარჯის გაწევა, რაც დამოკიდებულია სახელმძღვანელოების პროგრამაზე. დღესდღეობით კი, ამ პროგრამებით და სახელმძღვანელოებით, ვფიქრობ, გაგვიჭირდება პედაგოგებს სათანადო ცოდნის მიცემა მოსწავლეებისათვის, რათა მათ წარმატებულად ჩააბარონ ეროვნული გამოცდები.

მაია ჯიქიძე,

ნონა ხურციძე

რუსული ენის პედაგოგები:

მე-12 კლასის სახელმძღვანელოები შედგენილია ძალზე საინტერესოდ და მოსწავლეს საშუალებას აძლევს, შეისწავლოს არა მარტო რუსი, არამედ უცხოელი თანამედროვე და კლასიკოსი მწერლების შემოქმედება, მაგრამ თუ გრამატიკული მასალა შეტანილი იქნებოდა ეროვნული გამოცდების საკითხებში, გაცილებით მეტი იქნებოდა მოსწავლეთა ინტერესი და აქტიურობა აღნიშნული პროგრამის მიმართ.

იმის გამო, რომ ეროვნულ გამოცდებისთვის სკოლაში არასაგამოცდო პროგრამას სწავლობენ, მოსწავლეები ემზადებიან რეპეტიტორთან, ეს მათ დროის დიდ ნაწილს ართმევს. რაც შეეხება 12-წლიან სწავლებას, მე ვფიქრობ, არ გაამართლა, რადგან ამის მიზეზად, პირველ რიგში, მაინც პროგრამული მასალისა და ეროვნული გამოცდების საკითხების სხვადასხვაობას ვთვლი, თუმცა 11-წლიან სნავლებას ექნებოდა იგივე ხარვეზები, რაც 12-წლიან სწავლებისას გამოიკვეთა.

დამამთავრებელ კლასში მოსწავლის ყურადღება ეროვნული გამოცდებისაკენ არის მიმართული. ამისათვის კი მათ საუკეთესო საშუალებად რეპეტიტორებთან მომზადება მიაჩნიათ, რადგან, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ სკოლის პროგრამა განსხვავდება ეროვნული გამოცდების პროგრამისაგან.

სასურველი იქნებოდა, რომ მე-12 კლასის პროგრამა, სასწავლო გეგმა, სახელმძღვანელო იყოს მეტად დატვირთული სასაუბრო თემატიკით, შემეცნებითი ტექსტებით და მათთან შესაბამისი ტესტებით.

ნათია ნემსიწვერიძე

ინგლისური ენის პედაგოგი:

ბოლო რამდენიმე წელია, შეიმჩნევა საქართველოს ყველა რეგიონში ეკონომიური განვითარება, ამ ყოველივემ ხელი შეუწყო სკოლის ეკონომიურ განვითარებასაც. სკოლას მიეცა საშუალება, აღჭურვილიყო ტექნიკური ბაზით, რაშიც ამჟამად კომპიუტერები იგულისხმება, ეს საშუალება ეხმარება მოსწავლესაც და მასწავლებელსაც უკეთ ასწავლოს და ისწავლოს მასალა.

მე-12 კლასის არსებობა, ამ ეტაპზე, ჩანს, რომ თითქოს არ არის საჭირო, რადგან ბავშვები თითქოს გულგრილად ეკიდებიან ყოველვეს და რეპეტიტორებთან დადიან. ეს ბუნებრივია, რადგან რეფორმების პერიოდში ვცხოვრობთ, როდესაც ეს ყოველივე კარგად გაიდგამს ფესვებს, შედეგსაც მივიღებთ.

ინგლისურ ენაში X, XI, XII კლასში არსებობს არაჩვეულებრივი წიგნები, რომელიც ბავშვს საშუალებას მისცემს, მარტივად და სრულად აითვისოს ენა, თუ ამის სურვილი ექნება.

რაც შეეხება რეპეტიტორობის ინსტიტუტს, ჯერჯერობით საჭიროებს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალი მეთოდების საბოლოოდ დანერგვას დრო სჭირდება, არა 1 და 2 წელი. ვფიქრობ, მომავალში ყველას ერთობლივი ძალისხმევა კარგ შედეგს გამოიღებს.

(სტილი დაცულია)

ინფორმაცია

სტუმრობა „პატარა საქართველოში“

თურქეთ-საქართველოს სკოლებს შორის დამეგობრების პროგრამაში მონაწილეობის მიღების სურვილი ერთი მთავარი მიზნით გამოვთქვით. დიდი ხანია, ჩვენს მოსწავლეებს ოცნებად ჰქონდათ გადაქცეული არა მარტო წიგნებითა და სახელმძღვანელოებით, არამედ საკუთარი თვალით ეხილათ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ყოფა-ცხოვრება. სწორედ ამიტომ, როგორც კი შევიტყვეთ პროგრამის ამოქმედების შესახებ, ოცნებას ფრთები შევასხით და რეალობად ვაქციეთ.

სკოლიდან შეირჩა წარჩინებული მოსწავლეები და დირექციისა და პედაგოგების მეთვალყურეობით, 19 აპრილს, დავტოვეთ ჩვენი ქვეყანა. მეორე დღეს თურქეთის ქალაქ გოლჯუკს მივუახლოვდით. ბავშვებს გული საგულეში აღარ ედგათ, მოუთმენლად ელოდნენ თანატოლებთან შეხვედრას.

ბედის უკულმართობით საქართველოდან მოწყვეტილ ქართველ თურქებთან შეხვედრამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ბავშვები სიხარულითა და სიყვარულით გამთბარი თვალებით, მონუსხულებივით იდგნენ თაიგულებით ხელში და ჩვენ გველოდნენ. შეხვედრაც და გამასპინძლებაც ქართული იყო. მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ბავშვები ოჯახებში მიიღეს.

მეორე დღეს გაიმართა ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც თურქი, ისე ქართველი მოსწავლეები. ცდილობდნენ, ორივე ქვეყნის კულტურა წარმოედგინათ. სკოლის ეზოში დავრგეთ ჩვენი სკოლის – „ოქროს ვერძის“ სახელობის ხე.

22 აპრილს, ქალაქ გოლჯუკის მერს, მეჰმედ ელიგეშსა და გუბერნატორს, აჰმეტ დემირს შევხვდით. მოსწავლეთა დასაჩუქრების შემდეგ წაგვიყვანეს ექსკურსიაზე ქართულ სოფელ ცოცხობაში.

თურქულენოვან გარემოსა და უზარმაზარი ქალაქის დაძაბულ რიტმსაც ვერ წაუშლია ამ სოფლის მაცხოვრებლებში ქართველობა. ყველაფერ ქართულს აღმერთებენ, უფრთხილდებიან და თაყვანს სცემენ. საქართველოდან მოწყვეტილ ადამიანებს, თავიანთი პატარა საქართველო მაინც აუშენებიათ.

სოფლის დათვალიერების შემდეგ სტამბულს ვეწვიეთ. ამ ქალაქის სიდიადე ხომ ყველა მნახველს ანცვიფრებს. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა აია-სოფიას ტაძარმა, რომელიც, უკვე 14 საუკუნეა, თავისი სიდიადითა და ჰარმონიულობით, ხიბლავს ადამიანებს. ტაძარი ახ. წ. VI საუკუნეში იმპერატორ იუსტიანეს მიერ აგებული ერთ-ერთი პირველი ბრწყინვალე ქრისტიანული ძეგლია. ის არაერთხელ დაურბევიათ, XV საუკუნეში მუსლიმურ მეჩეთად გადაუკეთებიათ, მეოცეში კი – მუზეუმად. თუმცა მასში დღესაცაა დაცული ძველი ქრისტიანული ფრესკები.

სტამბულის შემდეგ ტრაპიზონი დავათვალიერეთ და დავბრუნდით ჩვენს სამშობლოში.

ამ ხუთდღიანი სააღდგომო არდადეგების დროს მივხვდით იმას, რომ დედა-სამშობლოს მოწყვეტილ ქართველ თურქებს შორეულ ქვეყანაშიც არ დაუკარგავთ სილამაზე და სიყვარული. ძნელბედობას და გაჭირვებას ვერაფერი დაუკლია მათთვის. მოვდიოდით და თან მოგვყვებოდა მათი ცრემლიანი მზერა.

რუსუდან ტაბიძე

სკოლა „ოქროს ვერძი“

ჯგუფის ხელმძღვანელი

„ახალი განათლების“ მკითხველებისთვის ცნობილია, რომ გამომცემლობა „დიოგენემ“, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან და თბილისის პედაგოგ-ისტორიკოსთა კლუბ „მემკვიდრესთან“ თანამშრომლობით, 2008 წელს, მეორედ ჩაატარა კონკურსი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების X და XI კლასების მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლებისათვის. კონკურსში მონაწილეობა შეეძლო ნებისმიერ მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფს (არა უმეტეს 3 მოსწავლისა), იმავე კლასის ისტორიის პედაგოგთან ერთად. კონკურსი გაიმართა ორ ტურად, I ტური – 2008 წლის ივნისში, ხოლო II ტური – 2008 წლის ივლისში.

მოსწავლეებს უნდა წარმოედგინათ მცირე გამოკვლევა შემდეგ თემატიკაზე: 1. საქართველო კულტურათა გზაჯვარედინზე – საქართველოში მცხოვრებ ხალხთა ტრადიციები; 2. საქართველო და გარე სამყარო ისტორიის სხვადასხვა პერიოდში; 3. არქეოლოგია, როგორც ისტორიული წყარო.

კონკურსში II და III ადგილზე გასული მოსწავლეები და მასწავლებლები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

გამარჯვებულად დასახელდა ერთი ინდივიდუალური ნამუშევარი – *„ძურთები საქართველოში“* (თბილისის 50-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე **ოთარ კახიძე**, პედაგოგი – **ლია გიორგაძე**) და ერთი ჯგუფური ნაშრომი – *„გმირი მიტომ ვარ, თუში ვარ, ციხე ვარ ჩარდახიანი“* (თელავის პირველი საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეები – **ნინო ედიშერაშვილი, ია გრიშიკაშვილი, ნინო ძამუკაშვილი**, პედაგოგი – **ნანა ბერელიძე**). გამარჯვებული მოსწავლეები, მასწავლებლებთან ერთად, დაჯილდოვდნენ ერთკვირიანი მოგზაურობით საბერძნეთში.

ღმერთებისა და გმირების სამშობლოში

„გამარჯვებულია მონაწილე ნომერი ორი. თემა – „ქურთები საქართველოში“! – გამოაცხადა ჟიურიმ და საოცნებო საჩუქრის – საბერძნეთის საგზურის მფლობელიც გავხდი. ისტორიის კონკურსის ორგანიზატორი გახლდათ გამომცემლობა „დიოგენე“. სწორედ მის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოდან შევიტყვე კონკურსის შესახებ.

11 დეკემბერს, დილით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სრული შემადგენლობით მოვიყარეთ თავი. ჩვენი მცირერიცხოვანი ჯგუფი 8 წევრისგან შედგებოდა – გამომცემლობა „დიოგენეს“ ორი წარმომადგენელი, კონკურსში გამარჯვებულ გუნდთა ისტორიის მასწავლებლები და ჩვენ – გამარჯვებულები (სამი გოგონა თელავიდან და თქვენი მონა-მორჩილი).

სამსაათიანი ფრენის შემდეგ ჩავედით პოლიტიკურად დაძაბულ ათენში. ელადის დედაქალაქს, მართლაც, აჩნდა შფოთისა და არეულობის კვალი, რასაც განსაკუთრებით მაღაზიებისა თუ ოფისების ვიტრინები მოწმობდნენ. თუმცა ჩვენ ამ ყველაფერს თითქოს ვერც აღვიქვამდით, ნინ ხომ მთელი ანტიკური საბერძნეთის კულტურა გველოდა თავისი საუცხოო არქიტექტურითა თუ ხელოვნებით. პირველ დღეს დრო არ დაგვიკარგავს და ათენის ისტორიული ნაწილი – აკროპოლისის შემოგარენი დავათვალიერეთ.

ანტიკური ეპოქის შემდგომი პერიოდის ღირსშესანიშნაობებით თავს დიდად ვერ იწონებს საბერძნეთის დედაქალაქი. ეს არცაა გასაკვირი, რადგან რომის იმპერიის ძლიერების ხანიდან XX ს-მდე ათენი არაფრით გამორჩეული, მეორეხარისხოვანი დასახლებული პუნქტი იყო – შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ბერძნებმა მთელი თავიანთი ძალისხმევა ხომ კონსტანტინეპოლს შესწირეს...

ქალაქის ცენტრში რამდენიმე მნიშვნელოვანი შენობაა XIX-XX საუკუნეებისა, რომელთაგანაც ყველაზე ცნობილი ათენის ეროვნული ბიბლიოთეკა, პარლამენტი, პრეზიდენტის სასახლე და შლიმანის სახლი – აწ უკვე ნუმიზმატიკის მუზეუმი.

პარლამენტისა და პრეზიდენტის სასახლის წინ დგას ტრადიციულ ბერძნულ სამოსში გამოწყობილი საპატიო ყარაული. საბერძნეთის არმიიდან სპეციალურად ფიზიკური ნიშნით არჩეული ჯარისკაცები ტურისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ. ისინი ერთი საათის განმავლობაში თვალსაც კი არ ახამხამებენ. გულგრილად მათთვის არც ჩვენ ჩაგვივლია და საოცარი სანახაობის – ყარაულის შეცვლის მომსწრენი გავხდით.

მეორე დღეს ჩვენ თვალწინ აკროპოლისი – ქალაქის შემაღლებული ადგილი – ზედაციხე – გაცოცხლდა თავისი პართენონით, ერექთეიონითა და ათენა-ნიკეთი. მოვინახულეთ აგრეთვე ზევსის დიდებული ტაძარი, რომლისგანაც კორინთული არქიტრავებით შემკობილი რამდენიმე სვეტიღაა დარჩენილი. აქვეა ცნობილი ადრიანეს თაღიც, რომელიც რომის იმპერატორმა ადრიანემ საყვარელ ქალაქს დაუტოვა მოსაგონრად. ცოტა მოშორებით, აგორისკენ, ჰეფესტოსის ანტიკური ტაძარია.

შემდეგი დღე მუზეუმების დღე იყო – მოვინახულეთ საბერძნეთის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმი, მთავარი მუზეუმი, სადაც ის ძირითადი არტეფაქტებია გამოფენილი, რომელთა წაღებაც XIX-XX ს-ის დასავლეთევროპელმა არქეოლოგებმა ვერ მოახერხეს. დავათვალიერეთ პოლიკლიტესა თუ პრაქსიტელის, მირონისა თუ აპოლოდორეს და მათ მიმდევართა ქანდაკებები, აგრეთვე ბერძნული კერამიკა ანტიკური მოხატულობით, კრეტული კედლის მხატვრობა, ნაწილ-ნაწილ რომ ჩამოუტანიათ კნოსოსიდან.

ათენზე არანაკლები შთაბეჭდილება დატოვა კორინთომ – ანტიკური ელადის ეკონომიკურმა ცენტრმა და მიკენმა – ბერძნული ცივილიზაციის აკვანმა. სწორედ კორინთოში მოღვაწეობდა კინიზმის ფუძემდებელი დიოგენე, რომლის მოსახელეცაა ჩვენი გამომცემლობა. მასზე ალექსანდრე მაკედონელს უთქვამს: *„მე რომ ალექსანდრე არ ვიყო, დიოგენეობას ვისურვებდიო“*. არგოლიდაში, ქალაქ ეპიდავროსში დავათვალიერეთ ასკლეპიოსის სამსხვერპლო, კლასიკური ანტიკური თეატრი და გზა გავაგრძელეთ მიკენისაკენ.

ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მიკენმა, განსაკუთრებით, ლომების კარიბჭემ – მიკენის ძლევამოსილების სიმბოლომ და აგამემნონის – ტროას ომის გმირი მეფის ნიღაბმა. აქაური აკროპოლისიდან ერთი მთა მოჩანს, რომელსაც მწოლიარე ადამიანის ფორმა აქვს. გადმოცემით ეს სწორედ მიკენის ლეგენდარული აგამემნონია, რომელმაც სიკვდილის შემდგომ აქვე ჰპოვა განსასვენებელი.

მიკენიდან დაბრუნებულები თვალს ვაყოლებთ სარონის ყურეს – სალამინის ძლევამოსილი ბრძოლის ადგილსა და კორინთოს ხელოვნურ არხს, რომელმაც იონიისა და ეგეოსის ზღვათა შეერთებით პელოპონესის ნახევარკუნძული ხელოვნურ კუნძულად აქცია.

სასტუმროში ღამით დავბრუნდით. თანამედროვე ათენში კლუბებსა თუ კაფე-ბარებში აქტიური ცხოვრება ღამითაც გრძელდება, მაგრამ ეს პოლიტიკური შფოთისა და ანარქისტთა დემონსტრაციების გამო ნაკლებად შესამჩნევია... თუმცა, თუკი ხუთმილიონიანი ათენის რომელიმე უბანში არეულობაა, მეორეგან ეს საერთოდ არც იგრძნობა.

ექსკურსიების ბოლო დღე შთამბეჭდავ დელფოს ეძღვნება – აპოლონის რჩეულ ქალაქს, ძველი საბერძნეთის რელიგიურ ცენტრს – „ანტიკურ ვატიკანს“, მართლაც რომ ვატიკანივით ძლიერს, მდიდარსა და გავლენიანს. ჩვენ თვალწინ ცოცხლდება დელფოს სამისნო – ქურუმ ქალ პითიათი და სხვა გრძნეული ორაკულებით. აქ თავს იყრიდა ყველა, ვისაც საკუთარი მომავალი აინტერესებდა, ვისაც სურდა გაეგო, თუ რას უმზადებდა ბედი და უსმენდა ორაკულთა ორაზროვან პასუხებს. დელფო სხვა პოლისთაგან დიდად გამოირჩეოდა – ამას მისი განსაკუთრებული, „რელიგიური პროფილი“ განაპირობებდა. ანტიკური საბერძნეთის ქალაქთაგან ალბათ ყველაზე მეტად მაინც დელფოა ერთიანი ელადის სახე, მისი გამოვლინება. დელფო პარნასის მთის – მუზათა სამყოფელის კალთაზეა, თუმცა, გულახდილად რომ ვთქვა, პარნასისგან, რატომღაც, რაღაც უფრო მეტად იდუმალსა და მისტიკურს მოველოდი.

ბოლო დღეები ექსკურსიებისგან თავისუფალი გვქონდა და კიდევ უფრო მეტი საშუალება მოგვეცა, უკეთ გავცნობოდით ათენს, რამდენადაც ამას იქაური პოლიტიკური მდგომარეობა გვაძლევდა. ქუჩებში, არც თუ ისე იშვიათად, გვხვდებოდნენ სამუშაოდ გადახვეწილი ქართველები. დიდი ხნის უნახავ ახლობლებსა თუ ნათესავებსაც შევხვდით...

თავბრუდამხვევი შთაბეჭდილებებისგან კი მაშინ გამოვერკვიეთ, როცა ათენის აეროპორტში, თანამშრომელთა გაფიცვის გამო, ხუთსაათიანი ლოდინი მოგვიხდა. თბილისში დაბრუნებულებს უკვე თოვლი დაგვხვდა. გზაშივე ვფიქრობდი, რომ მთელი ჩვენი მოგზაურობა თითქოს ერთი გრძელი მითი იყო. ასეა, საბერძნეთი ხომ „ღმერთებისა და გმირების მხარეა“.

ოთარ კახიძე
თბილისის 50-ე საჯარო სკოლა, XI კლასი

სკოლათაშორისი კონფერენცია სოფელ ხალას საჯარო სკოლაში

2009 წლის 8 მაისს, სოფელ ხალას საჯარო სკოლაში, გაიმართა ეკოლოგიური პრობლემებისადმი მიძღვნილი სკოლათაშორისი კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ხალას საჯარო სკოლის და ჩაისუბნის №2 საბაზო სკოლის მოსწავლეები; გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს შავი ზღვის მონიტორინგის ცენტრის დირექტორი, ბატონი **გიორგი კომახიძე**, ამავე ცენტრის უფროსი სპეციალისტები – **რეზო გორაძე** და **ირინე ბარამიძე** (გარემოს დაბინძურების მონიტორინგის განყოფილება); სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ მტირალას ეროვნული პარკის ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი **რუსლან დავითაძე**.

კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა შემდეგი სამეცნიერო ნაშრომები:

1. „ჰეპატიტი და მოსახლეობის ეკოლოგიური განათლება“ – ხალას საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე **ნათია ცინარიძე**, ხელმძღვანელი – **მირანდა ჯიჯავაძე**.

2. „შავი ზღვის ეგზოტიკური სახეობები“ – ხალას საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე **ხატია დიასამიძე**, მასწავლებელი – **ლეილა ლორთქიფანიძე.**

3. „სოფელ ხალას ეკოლოგიური პრობლემები“ – ხალას საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე **დარინა კაჭახმაძე**, ხელმძღვანელი – **მადონა ბერიძე**.

4. „ბუნებისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემები ხელვაჩაურის რაიონის მაგალითზე“ – ჩაისუბნის №2 საბაზო სკოლის VIII კლასის მოსწავლე **მაგდა ჯაფარიძე**, ხელმძღვანელი – **თემურ ცინარიძე**.

შავი ზღვის მონიტორინგის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლებმა ისაუბრეს შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემების შესახებ, ხოლო მტირალას ეროვნული პარკის ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა, რუსლან დავითაძემ ეროვნული პარკის დღევანდელ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრა.

დაისახა ხალას საჯარო სკოლის, გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ „დაცული ტერიტორიების“ მომავალი თანამშრომლობის გზები.

კონფერენციის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა ხალას საჯარო სკოლის ეზოში გააშენეს ხის ნარგავები.

ლეილა ლორთქიფანიძე
ქობულეთის რაიონის სოფელ ხალას საჯარო სკოლის დირექტორი

ცოდნის საჭირო დროს გამოყენების მცდელობა – მათემატიკურად გადმოცემული საქართველოს ისტორია

მათემატიკის გაკვეთილისათვის მეტად უჩვეულო თემა იყო შერჩეული გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის (დირექტორი – **მანანა ჩუხრუკიძე**) VII კლასში – „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“ (მასწავლებელი – **მარინე მოსიაშვილი**).

20 მოსწავლე, თავისუფალი არჩევნების საფუძველზე, გაიყო ოთხ ჯგუფად და თითოეულ მათგანს გადაეცა საქართველოს ისტორიის გარკვეული პერიოდის რუკა, შესაბამისი დროშითა და გერბით. ესენი იყო:

I – „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“ – თამარის ეპოქა;

II – 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა;

III – საბჭოთა საქართველო –1921-1991 წლები;

IV - თანამედროვე საქართველო – 1991 წლიდან დღემდე.

ჯგუფებმა პირველი დავალება მიიღეს; პალეტის საშუალებით გამოთვალონ პირობითი ფართობის რამდენ ერთეულს შეადგენს მოცემული პერიოდის რუკაზე წარმოდგენილი საქართველოს ტერიტორია, იმსჯელონ დროშისა და გერბის შესახებ, რომელი გეომეტრიული ფიგურებია გამოყენებული მათ შემადგენლობაში, რამდენი სიმეტრიის ღერძი აქვს თითოეულს, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ცალკეულ დეტალს.

მოსწავლეები ინტერესით ითვლიდნენ ფართობს, ხაზავდნენ დიაგრამებს. შესრულებული სამუშაო დააფიქსირეს დაფაზე.

ამის შემდეგ ჯგუფები II დავალების შესრულებას შეუდგნენ: შეაგროვეს მიღებული მონაცემები და შეადგინეს სხვადასხვა სახის დიაგრამები (სვეტოვანი და წრიული) შესაბამისი დიზაინით და კლასის წინაშე წარმოადგინეს. დიაგრამების პრეზენტაციამ თვალსაჩინო გახადა ტრაგიკული სურათი, საქართველოს ტერიტორიის კატასტროფული შემცირება:

I – 250 პ.ე, II – 220 პ.ე, III – 200 პ.ე, IV – 170 პ.ე.

კლასში საოცარმა დუმილმა დაისადგურა.

პედაგოგმა ჯგუფებს ახალი – III დავალება მისცა. დაფაზე დაწერა წლები:

1204 წ -166-1121 წ.

2008 წ - ? - 1921 წ.

აღმოაჩინეთ კანონზომიერება, კითხვის ნიშნის ადგილას ჩასვით სათანადო რიცხვი და ახსენით, რატომ შევარჩიეთ ეს ოთხი თარიღი? ამ დავალებასაც სწრაფად გაართვეს თავი, სწრაფად გამოთვალეს რიცხვი და თითოეულ თარიღზეც ისაუბრეს. 1921 წლის 25 თებერვალი და 2008 წლის აგვისტოს მოვლენები გაიხსენეს ტკივილით, იმავდროულად იმედითაც, რომ საქართველო გაიმარჯვებს, დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს და ივერია გაბრწყინდება!

მეტად შთამბეჭდავი იყო შემდეგი დავალება – დაფა გაივსო წარწერებით: *ივერია გაბრწყინდება, ივერია გაბრწყინდება, ივერია გაბრწყინდება....* იპოვეთ, რომელია ამ ჩანაწერში 2009-ე ასო. ეს დავალებაც სწრაფად შეასრულეს. სწრაფადმოაზროვნეებმა ყველას აჯობეს, მაგრამ მასწავლებელმა მხოლოდ ყველა პასუხის წერილობით მიღების შემდეგ გამოაცხადა გამარჯვებულის სწორი პასუხი.

საკმაოდ ხალისიანი გამოდგა გაკვეთილის შემაჯამებელი ნაწილი – თითოეულ ჯგუფს გადაეცა განსხვავებული დაშიფრული სიტყვა, სადაც ცალკეულ ასოს, განსხვავებული გამოსახულების მნიშვნელობა შეესაბამებოდა. დაფაზე დაიწერა აღ. აბაშელის ლექსის ბწკარედი:

„და ერის ტანჯვის გამომსახველი
იზრდება გულში ორი მწვერვალი,
ერთი ნაღველის ორი სახელი –
კრწანისის ველი და თებერვალი.“

მასწავლებლის მიზანი შესრულდა: მოსწავლეები დაეუფლნენ მონაცემთა შერჩევასა და კლასიფიკაციას, წარმოადგინეს მონაცემები დიაგრამების საშუალებით, შექმნეს მოწესრიგებული ცხრილები და დაასაბუთეს შერჩეული მიზანშეწონილობა, ააგეს სხვადასხვა დიაგრამები ერთი და იმავე რაოდენობრივი მონაცემებისათვის და იმსჯელეს, რა უპირატესობა აქვს თითოეულს.

მარინე მასწავლებელმა შეძლო, ეჩვენებინა მოსწავლეებისათვის მათემატიკის გამოყენებითი მნიშვნელობა, დაერწმუნებინა, რომ ცოდნას მაშინ აქვს ფასი, თუ შეგვიძლია მისი გამოყენება საჭირო დროს და საჭირო ადგილას.

დამთავრდა გაკვეთილი ძიებისა და აღმოჩენების უხმოდ, ჩვეული ჟრიამულის გარეშე. საკუთარი თვალით დანახულმა სინამდვილემ, თითქოს, შეძრა პატარა გულები და მომავალზეც ჩააფიქრა...

დამთავრდა გაკვეთილი, შეფასდა მოსწავლეთა ცოდნა და საკლასო ოთახის კედლებზე დარჩა ჩვენი ქვეყნის დიდებული წარსულის, 1921 წელს დაკარგული თავისუფლებისა და დღევანდელობის ნათელი სურათი, რომელმაც ერთხელ კიდევ შეახსენა მოსწავლეებს დიდი ილიას სიტყვები:

„სიცოცხლე ჩვენი არც დედისაა და არც მამისა, ქვეყნისაა, ჯერ ქვეყანა და მერე დედა და მამა“. ჩვენ უნდა ვუპატრონოთ ჩვენს ქვეყანას – დარწმუნდნენ მოსწავლეები.

ნანა ბარჯაძე
გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი



მეთოდიკა

გთავაზობთ ადიგენის რაიონის სოფელ არლის საჯარო სკოლაში (დირექტორი – მარო ჩხიტუნიძე) II კლასში ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილის ნიმუშს

გაკვეთილის თემა: „ხეთა ბაასი“

ინტეგრირებული საგნები: ქართული ენა, გუნება

სწავლების საფეხური და კლასი: I საფეხური, მე-2 კლასი

მასწავლებელი: ინგა კაჭკაჭაშვილი

მოსწავლეთა რაოდენობა: 13

გაკვეთილის სასწავლო მიზნები (საგნების მიხედვით):

ქართული ენა

- საკუთარი აზრის დასასაბუთებლად ტექსტის შესაბამისი მონაკვეთების მოძებნა;
- ინტონაციური კითხვა;
- ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცება, სხვისი აზრის მოსმენისა და პატივისცემის, საკუთარი მოსაზრების დასაბუთებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

გუნება

- წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეების გარჩევა და დასახელება;
- ბუნების დაცვისა და გაფრთხილების აუცილებლობის გაცნობიერება;
- ხეებზე დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის გახსენება და დაფიქსირება;
- ბუნებისადმი საკუთარი მზრუნველობითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები/ინდიკატორები:

- ამოიცნობს სამეტყველო სიტუაციის ადრესატს და საუბრის თემას;
- აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ თხრობას;
- გადმოსცემს მოსმენილი ტექსტის შინაარსს;
- კითხულობს გამომეტყველებით და სათანადო ინტონაციით, იცავს წინადადებებს შორის პაუზებს;
- წერს და ასათაურებს მცირე ზომის მარტივ ტექსტს;
- თანმიმდევრობით ჩამოთვლის სეზონებს და თვეებს;
- ახასიათებს და აჯგუფებს მცენარეებს, ადამიანის მიერ მათი გამოყენების სფეროების მიხედვით;
- ჰყვება ისტორიას მცენარეზე ზრუნვის შესახებ;
- ოჯახსა და სკოლაში უვლის მცენარეებს და თავის გამოცდილებას უზიარებს თანაკლასელებს;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ცოცხალი ორგანიზმებისთვის მიყენებული ზიანის მიმართ, მოჰყავს მაგალითები.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, ჯგუფური.

დრო: 90 წთ.

რესურსები: კომპიუტერი, პროექტორი, დაფა, ცარცი, ბარათები, ხეების დეკორაცია, ფოტოაპარატი.

უნარ-ჩვევები: ინფორმაციის გადმოცემის, შედარებისა და შეჯამების, პრეზენტაციის, კრიტიკული აზროვნების და ურთიერთთანამშრომლობის.

აქტივობა: საშინაო დავალების შემოწმება, როლური თამაში, კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, ასოციაციური რუკა, პრეზენტაცია, სიტუაციური ამოცანა, დისკუსია, წერა.

მოტივაცია: შემეცნების დონის ამაღლება – ახალი ინფორმაციის გაგების სურვილი.

პროვოცირება (2წთ).

გაკვეთილი იწყება მოსწავლეთა აქტუალურ პრობლემებზე საუბრით. მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს: რას ვსწავლობთ ბუნების და ქართულის გაკვეთილებზე? რატომ არის ამ საგნების შესწავლა საჭირო? როგორი გაკვეთილი ჩავატაროთ? რა აქტივობები გამოვიყენოთ? მასწავლებელი ნათქვამს რეზიუმეს უკეთებს, გაკვეთილის გეგმას და აქტივობებს პროექტორით უჩვენებს.

საშინაო დავალება (3წთ).

მასწავლებელი ამოწმებს საშინაო დავალებას – „ჩემი ხე“ (თხზულება), შემოწმება – შერჩევით.

ჯგუფების შექმნა და სახელის პრეზენტაცია (2წთ).

ჯგუფის შექმნის მიზნით, მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ბარათებს (ვაშლის, ფიჭვის, მუხის ლოგოებით). მოსწავლეები სხდებიან ბარათების მიხედვით: პირველ მაგიდასთან – ვაშლის ხეები, მეორე მაგიდასთან – მუხის ხეები და მესამე მაგიდასთან – ფიჭვის ხეები.

ჯგუფები აკეთებენ ჯგუფის სახელის პრეზენტაციას.

როლური თამაში (4 წთ).

ბავშვები როლებში გაითამაშებენ იაკობ გოგებაშვილის „ხეების ბაასს“.

კითხვები და ვარაუდების გამოთქმა (5 წთ).

- ვინ დაწერა „ხეების ბაასი”?
- მოიყვანეთ ის ადგილი, სადაც მუხა თავის უპირატესობაზე საუბრობს.
- რომელ ხეს ეკუთნის სიტყვები: „ჩემი წითელი ნაყოფი მეფის სუფრასაც ამშვენებს“?
- რამდენი არგუმენტი მოიყვანა ფიჭვმა თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად?
- როგორ ფიქრობთ, მათ შორის რომელი იყო მართალი? რატომ? რატომ ფიქრობთ ასე?

პრეზენტაცია (9 წთ).

ჯგუფები აკეთებენ ტყის პრეზენტაციას.

მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია (3წთ). რაიონის ტერიტორიაზე არსებული გაქვავებული ტყის შესახებ.

ასოციაციური რუკა (3 წთ).

მასწავლებელი პროექტორით აჩვენებს ასოციაციურ რუკას „ტყის ნობათი“ და მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ, რას გვაძლევს ტყე.

ჯგუფებში მუშაობა (7 წთ).

1. მონიტორზე ჩნდება ტყის სურათები. ჯგუფებმა უნდა ამოიცნონ ტყის სახეობები (შერეული, წიწვოვანი, ფოთლოვანი).

2. მოცემულია ტყის სურათები წელიწადის ოთხივე დროს. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, წელიწადის რა დროა სურათზე.

3. მამამ ტყეში დიდი ხე მოჭრა. – მოცემული წინადადების შემადგენელ სიტყვებს უნდა მიეწეროს შესაბამისი კითხვები: ვინ? სად? როგორი? რა? რა ქნა?

სიტუაციური ამოცანა (4წთ).

ნოდარი არდადეგებზე სოფელში ისვენებდა. ბავშვები ტყეში წავიდნენ. ნოდარმა ტყეში პატარა ნაძვი ამოთხარა და პაპის ბაღში დარგო. ნოდარი, მისი აზრით, კარგად უვლიდა მცენარეს, მადრამ ორი დღის შემდეგ ნაძვი გახმა – დაეხმარეთ ნოდარს იმის გაგებაში, თუ რა მოხდა, რატომ გახმა მცენარე?

შესვენება (1 წთ).

დაასახელონ თავიანთი სახელების პირველი ასოდან დაწყებული ტყის ბინადრების სახელები (ასე მაგალითად: *ნიკა – ნუკრი*).

დისკუსია (6 წთ).

თემა – „როგორ გავუფრთხილდეთ ტყეს?“

„ხე არავის ეცოდება“ – დაიცავით ან უარყავით ეს მოსაზრება (დისკუსიის პროცესში, პროექტორით, გაკაფული ტყის სურათებს აჩვენებენ).

როლური თამაში (4 წთ).

„ტყის მჭრელი“ – ინსცენირება.

„ტყის შექმნა“ საკლასო ოთახში (7 წთ).

ბავშვებს ურიგდებათ თაბახის ფურცლები, რომლებზეც მოსწავლეებმა მხოლოდ ხე უნდა დახატონ და გამოაკრან კედელზე დამაგრებულ ფორმატზე, მასწავლებლის დახმარებით ქმნიან „ტყეს“ საკლასო ოთახში. დასასრულს, ბავშვები პასუხობენ მასწავლებლის კითხვაზე, თუ როგორი „ტყე“ შექმნეს (შერეული, წიწვოვანი, ფოთლოვანი).

ჯაჭვური თხრობა (4 წთ).

უკვე გვაქვს „ტყე“ საკლასო ოთახში. მასწავლებელი სთავაზობს თამაშს – „ექსკურსია ტყეში“. თამაშის პირობა – ერთი მოსწავლე-ერთი წინადადება. თამაშს იწყებს მასწავლებელი – *„ერთ მშვენიერ დღეს მე ჩემს მოსწავლეებთან ერთად ტყეში წავედი“...*

გონებრივი იერიში (4წთ).

მასწავლებელი სვამს კითხვებს: 1. რა ნახეთ ექსკურსიის დროს? 2. ჩამოთვალეთ მცენარის ნაწილები. 3. რით განსხვავდება მცენარე ადამიანისგან? 4. რას ამზადებენ ხისგან? 5. ამოიცანით, ამ ოთახში რა არის დამზადებული ხისგან?

ბარათებით მუშაობა (4 წთ).

ბარათებზე მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას შემდეგი კითხვებით: რა ცვლილებები შეიმჩნევა გაზაფხულზე ბუნებაში? რითი დამშვენდა ხეები?

მასწავლებელი უყვება ბავშვებს ერთ შემთხვევას: *„ერთხელ გზად (მაგალითად) ალუბლის აყვავებული ხე „შემომხვდა“. ახლოს რომ მივედი, დავინახე, ვიღაცას ტოტი მოეტეხა. გული ძალიან მეტკინა“.*

– თქვენი აზრით, რატომ მეტკინა გული?

– როგორ გგონიათ, ვინც ეს ტოტი მოტეხა, როგორ მოიქცა?

– თქვენი აზრით, ბუნებაზე მზრუნველი ადამიანი როგორ მოექცეოდა ამ ხეს?

მასწავლებელი ურიგებს ბარათებს, სადაც დისკუსიის ბოლოს დასმულ კითხვაზე პასუხი „იმალება“, ეს სიტყვებია: *ალუბალი, დაუბარა, ხე, წყალი, გოჩა, დაუსხა, მიწა,* და (სიტყვები ფერად ფურცლებზე წერია). ბარათებით აწყობილი წინადადება – *„გოჩამ ხეს მიწა დაუბარა და წყალი დაუსხა“* – ბავშვებმა დაფაზე უნდა მიამაგრონ.

წერა (5 წთ).

მასწავლებელს კედელზე ნატვრის ხე აქვს გაკრული. მოსწავლეებს და სტუმრებს ურიგებს ფურცლებს, სთხოვს, დაწერონ ნატვრები და მიამაგრონ ხეზე, რადგან მასწავლებელს იმედი აქვს, რომ სურვილები ყველას აუცილებლად აუხდება.

შეჯამება (4 წთ).

მოსწავლეები აჯამებენ გაკვეთილს და გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს. რით იყო საინტერესო ეს გაკვეთილი, რა მოეწონათ.

შეფასება (3 წთ).

მასწავლებელი აჯამებს ჯგუფების მუშაობის შედეგებს და აფასებს ჯგუფებს, ხოლო თითოეულ მოსწავლეს უკეთებს კომენტარს.

ხის დარგვა (5 წთ).

გაკვეთილი მთავრდება მხიარულ ნოტზე – მოსწავლეები მღერიან სიმღერას *„ხე დარგე“*.

მოსწავლეები და მასწავლებელი სკოლის ეზოში რგავენ ხეებს. გამოითქვა საერთო სურვილი – 2 აპრილი არლის საჯარო სკოლაში გამოცხადდეს ხის დარგვის დღედ, რაც კეთილ ტრადიციად იქცევა.

მეთოდიკა

სტანდარტი

ქართ. X. 3. აუდიტორიის წინაშე მოხსენებით გამოსვლისას მოსწავლე იყენებს ზეპირი კომუნიკაციის ეფექტიანობის გასაძლიერებელ ხერხებს.

– ამყარებს კონტაქტს მსმენელთან (იყენებს რიტორიკულ შეკითხვებს; მიმართვას; ერთობლივი მოქმედების ამსახველ განმაზოგადებელ ფორმებს. მაგ., „ჩვენი მიზანია... “, „...მივაქციოთ ყურადღება...“, „როგორც ვიცით... “ და სხვ.)

– უიოლებს აუდიტორიას ინფორმაციის აღქმას (სპეციალურად გამოყოფს ინფორმაციის ნაწილებს, იმეორებს, მოჰყავს მაგალითები, მკვეთრად აღნიშნავს ერთი თემიდან მეორეზე გადასვლას და სხვ.)

– გამოყოფს მთავარს, არსებითს (იყენებს მიზეზ-შედეგობრივ კონსტრუქციებს, მსმენელისადმი პირდაპირ მიმართვას).

ქართ. X. 4. მოსწავლე აანალიზებს და აფასებს თანაკლასელების ზეპირ მოხსენებებს.

– მსჯელობს იმის შესახებ, რამდენად ეფექტური იყო მოხსენების შესავალი ნაწილი (შეძლო თუ არა მომხსენებელმა მსმენელებთან კონტაქტის დამყარება; საუბრის თემის გამოკვეთა; მოახერხა თუ ვერა მსმენელის დაინტერესება და რა ხერხები გამოიყენა ამისათვის);

– განმარტავს, რამდენად ეფექტურად იყო წარმოდგენილი მოხსენების დასკვნითი ნაწილი (იყო თუ არა ინფორმაცია დაყოფილი აზრობრივ მონაკვეთებად; დამაჯერებელი იყო თუ არა მომხსენებლის მსჯელობა, მოყვანილი მაგალითები, ფაქტები, ციტატები; იყო თუ არა მკვეთრად გამოყოფილი ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლა)?

– მსჯელობს იმის შესახებ, რამდენად ეფექტური იყო მოხსენების დასკვნითი ნაწილი (რამდენად კარგად შეძლო მომხსენებელმა განზოგადებული თეზისების ან მოხსენების ძირითადი აზრის ჩამოყალიბება და რა ხერხები გამოიყენა მან ამისათვის).

ქართ. X. 5. მოსწავლე ამოიცნობს და შესაბამისად იყენებს ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიებს.

– ამოიცნობს აუდიტორიაზე ზემოქმედების არავერბალურ ხერხებს (მხედველობითი კონტაქტი; ხმის აწევ-დაწევა; საუბრის ტემპის შეცვლა; ჟესტიკულაცია) და შესაბამისად იყენებს მათ ზეპირი გამოსვლების დროს მსმენელთა ინტერესის გასაღვივებლად;

– ამზადებს ტექსტს და ვიზუალურ მასალას აუდიტორიის წინაშე გასვლამდე, გადის რეპეტიციას;

– ამოიცნობს მსმენელის რეაქციას და იყენებს საპასუხო სტრატეგიებს, როგორიცაა აზრის პერიფრაზირება სიცხადისათვის ან მომზადებული ტექსტიდან გადახვევა აზრის უკეთ განმარტებისათვის;

– აანალიზებს ფაქტორებს, რამაც ხელი შეუწყო წარმატებას ან გამოიწვია წარუმატებლობა ზეპირი გამოსვლის დროს და მასწავლებელთან ერთად სახავს ხარვეზების გამოსწორების გეგმას.

პროექტი

პროექტის თემა: ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“

მთავარი პრობლემა: მოსწავლეებს უჭირთ შემოქმედებითი კვლევა, ლიტერატურული პარალელების მოძიება და არგუმენტირებული მსჯელობა, პრეზენტაციის მომზადება ზეპირი მოხსენების სახით და აუდიტორიის ფლობა.

მიზანი:

– შემოქმედებითი კვლევის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება;

– ზეპირმეტყველებისა და სხვათა მეტყველების შეფასების უნარის განვითარება;

– მოსწავლეებმა შეძლონ ზეპირი გამოსვლის შეფასება საკომუნიკაციო ამოცანისა და უდიტორიის გათვალისწინებით.

ამოცანები:

1. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება;
2. ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება;
3. ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების უნარის განვითარება.

მოსალოდნელი შედეგები:

– გაიზრდება მოსწავლეთა მოტივაცია;

– მოსწავლეები გამოიმუშავებენ ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევებს;

– შეძლებენ თვითშეფასებასა და თანაკლასელთა შეფასებას.

მიზნობრივი ჯგუფი:

X კლასის მოსწავლეები და მასწავლებელი.

საქმიანობის მოკლე აღწერა:

I. ამოცანა: ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის“ შესწავლა და ტექსტის ანალიზი. ჯგუფის მიერ ზეპირი მოხსენების მომზადება.

საქმიანობები:

1. ტექსტის შესწავლითი წაკითხვა;
2. ტექსტის ანალიზი სახელმძღვანელოში მოცემული და სხვა დამატებითი რესურსების (კრიტიკული წერილების, დისკზე ჩაწერილი პოემის ტექსტისა და მისი ანალიზის) გამოყენებით;
3. მოსწავლეების ჯგუფებად დაყოფა, დავალებების განაწილება და პრეზენტაციის მომზადება ზეპირი მოხსენების სახით.

II ამოცანა: მოსწავლეთა მოტივაციის მიზნით ღია გაკვეთილის ჩატარება და შემოქმედებითი კვლევის შედეგების გაცნობა სკოლის საზოგადოებისათვის და რესურსცენტრის წარმომადგენლებისათვის.

საქმიანობა:

ღია გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება.

მონიტორინგის ცხრილი

პროექტის მონიტორინგი		
1. ტექსტის შესწავლა	მონიტორინგის ინდიკატორები	თარიღი
	ტექსტის მოყოლა, ეპიზოდების შინაარსის გადმოცემა	2.04 – 11.04
2. ტექსტის ანალიზი	ესეების დაწერა, დისკუსია, სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციული დანართები და დავალებები.	11.04 – 30.04
3. ჯგუფში მუშაობა და პრეზენტაციისათვის მომზადება	წამოჭრილი პრობლემების ანალიზი, პროექტზე მუშაობისას გაწეული კონსულტაცია	სისტემატურად

რესურსები: X კლასის სახელმძღვანელო და მასში მოცემული ინფორმაციული დანართები და დავალებები, X კლასის მასწავლებლის წიგნი, რ. დევდარიანის სტატია გაზეთ „სკოლიდან“ – „განდეგილის ლეგენდა“, გ. ჯიბლაძე „ილია ჭავჭავაძე“, გ. ქიქოძე „განდეგილის შესახებ“, ლ. მინაშვილისა და სხვათა მოსაზრებები ნაწარმოების შესახებ, დისკი „ილია ჭავჭავაძე“ (კითხულობენ: თ. ელბაქიძე და გ. ქოჩლაძე), ენციკლოპედია, ინტერნეტი, ფურცლები, მარკერები, დაფა, ცარცი, პრინტერი და სხვ.

გაკვეთილის სცენარი

გაკვეთილის თემა: ილია ჭავჭავაძე, „განდეგილი“ (პროექტის პრეზენტაცია)

მიზანი:

– ზეპირმეტყველებისა და სხვათა მეტყველების შეფასების უნარის განვითარება;

– მოსწავლეები შეძლებენ ზეპირ გამოსვლას და თანაკლასელთა ზეპირი გამოსვლის შეფასებას საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

აქტივობები, ორგანიზება, დრო

აქტივობა 1.

მოსწავლეებს, პროექტის სახით, დავალებად მიცემული ჰქონდათ ი. ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის“ მიხედვით ზეპირი გამოსვლის მომზადება თემებზე: 1. „გზა ხსნისა“ – ადამიანთა სიყვარული; 2. „სიყვარულისთვის შექმნილი მშვენიერი სამყარო“; 3. „ასკეტიზმი – „განდეგილობის“ პრობლემატიკა დღევანდელობისათვის“. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში. აფასებენ ზეპირ გამოსვლას წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, გამართავენ დისკუსიას პრეზენტატორის გამოსვლის შემდეგ.

შეფასების კრიტერიუმები:

– ჰქონდა თუ არა საინტერესო დასაწყისი და დასასრული;

– ხომ არ გადაუხვევია თემიდან;

– იყო თუ არა გამოსვლა კარგად აწყობილი/ორგანიზებული;

– იყო თუ არა გათვალისწინებული შერჩეული აუდიტორიის ცოდნა, ინტერესები და შეხედულებები;

– ლაპარაკობდა თუ არა ნათლად და მკაფიოდ, იყო თუ არა პრეზენტაცია ეფექტური;

– იყენებდა თუ არა ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციის საშუალებებს;

– შეაფასეთ ანალიზისა და სინთეზის უნარი, შემოქმედებითობა და ორიგინალურობა;

– საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული დაცვა, დასმულ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა, მსჯელობის ლოგიკურობა.

ორგანიზება

მუშაობა მთელ კლასთან

დრო – 5 წთ.

აქტივობა 2.

ჯგუფიდან არჩეული პრეზენტატორები წარმოადგენენ კლასის წინაშე საკუთარ მოსაზრებებს პროექტის თემის შესახებ. დანარჩენები აფასებენ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, თან ავსებენ სქემას თვითშესაფასებლად: რა მომეწონა/რას გავაუმჯობესებდი/როგორ გავაუმჯობესებდი.

ორგანიზება

მუშაობა მთელ კლასთან

დრო – 60 წთ.

აქტივობა 3.

მოსწავლეები წარმოადგენენ ზეპირი გამოსვლის გაუმჯობესების საკუთარ ვერსიებს.

ორგანიზება

მუშაობა მთელ კლასთან

დრო – 10 წთ.

აქტივობა 4.

ხელის აუღებლად წერა (მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები დაწერენ გაკვეთილით მიღებულ შთაბეჭდილებებს, კლასის წინაშე წაიკითხავს რამდენიმე მოსწავლე)

დრო – 15 წთ.

რესურსები:

ფურცლები, კალმები, მარკერები, სახელმძღვანელო, დაფა, კომპიუტერი და სხვ.

შეფასება

– ფასდება წარმოდგენილი გამოსვლები მოსწავლეთა ურთიერთშეფასების საფუძველზე;

– ფასდება შეფასების უნარი დაკვირვებითა და ჩანიშვნებით.

შორენა გვენეტაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის

ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა მოსწავლეებისთვის უფრო კომფორტული ხდება

ურთიერთთანამშრომლობის მემორადუმს სატრანსპორტო შეღავათების თაობაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **ნიკა გვარამიამ** და თბილისის მერმა, **გიგი უგულავამ** თბილისის 92-ე საჯარო სკოლაში მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის საფუძველზე, მასწავლებელთა და მოსწავლეთა სოციალური პირობების გაუმჯობესებისთვის, თბილისის საჯარო სკოლების 151 ათასამდე მოსწავლე პლასტიკურ ბარათს მიიღებს და უფასოდ იმგზავრებს. ბარათები მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისათვის 92-ე საჯარო სკოლის მისწავლეებს პირადად თბილისის მერმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიუტანეს.

ეს პროგრამა, თბილისის მერიის ინიციატივით, მეორე წელია, მოქმედებს და მომავალშიც გაგრძელდება. საზოგადოებრივ ტრანსპორტზე შეღავათებით უკვე სარგებლობს დედაქალაქის 11 871 პედაგოგი.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ნიკა გვარამიამ აღნიშნა: *„ნებისმიერი სახის შეღავათი მასწავლებელზე, მოსწავლეზე ძალიან მნიშვნელოვანი ინვესტიციაა მომავალში და ძალიან სერიოზული ზრუნვა ადგილობრივ მოსახლეობაზე“*, მადლობა გადაუხადა დედაქალაქის მერს და დასძინა: *„თვითმმართველობამ მაგალითი უნდა აიღოს მერიიდან“.*

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა და თბილისის მერმა 92-ე სკოლის მე-12 კლასელებს სკოლის დამთავრება მიულოცეს და „ბოლო ზარის“ ღონისძიებასაც დაესწრნენ.

მეთოდიკა

სახალისო ცდები ქიმიიდან

ხსნარების ფერისცვალება

უამრავი სახალისო ცდა არსებობს ხსნარების ფერისცვალებაზე. მას ერთი საგაზეთო სტატია ვერ დაიტევს. დღეს რამდენიმე მათგანს შემოგთავაზებთ და იმავე რეაქტივებით სხვადასხვა ვარიანტები პედაგოგებმა თვითონ შეგიძლიათ მოიფიქროთ და გაამრავალფეროვნოთ.

წყლიდან რძე

მაგიდაზე დადგით ცარიელი გამჭვირვალე ჭიქა. ხელში დაიჭირეთ ორი კოლბა (გამჭვირვალე უფერო ბოთლი), რომლებიდანაც ერთში იქნება ლიაპისის ($AgNO_3$) განზავებული გამჭვირვალე ხსნარი, მეორეში კი ნებისმიერი ხსნადი ქლორიდის ნაჯერი ხსნარი. ორივე კოლბიდან ერთდროულად ჩაასხით ხსნარები ჭიქაში. მიიღებთ „რძეს“.

$Ag^{+}+Cl^{-}=AgCl\downarrow$ თეთრი

$AgNO_3$ ძალიან მგრძნობიარე რეაქტივია და ამიტომ აუცილებლად გამოხდილ წყალში უნდა გაიხსნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, $AgNO_3$ დალექავს ონკანის წყალში არსებულ კათიონებს, სამუშაო ხსნარს აამღვრევს და ცდა არადამაჯერებლად ჩაითვლება. აქვე შეგახსენებთ, რომ ლიაპისი მომწამლავი ნივთიერებაა და მასთან მუშაობისას სიფრთხილეა საჭირო.

წყალი და ღვინო ერთ ბოთლში

კოლბაში (ან გამჭვირვალე უფერო ბოთლში) ნახევრამდე ჩაასხით გამოხდილი წყალი. ჩააწევეთეთ რამდენიმე წვეთი ფენოლფტალეინი. ორი ქიმიური ჭიქიდან ერთში ჩაასხთი რამდენიმე წვეთი სოდის კონცენტრირებული ხსნარი (ან ნებისმიერი ტუტის განზავებული ხსნარი), მეორეში რამდენიმე წვეთი ღვინის ქვის მჟავის კონცენტრირებული (ან ნებისმიერი მჟავის განზავებული) ხსნარი.

კოლბიდან ჭიქებში (რომლებიც თითქოს ცარიელია) ერთი მესამედამდე ჩაასხით „წყალი“. ერთში ხსნარი ღვინისფერს მიიღებს, მეორეში კი უფერო დარჩება. შეფერილი ხსნარი გადაასხით უფერო ხსნარიან ჭიქაში. ხსნარი გაუფერულდება.

წყალი ღვინიანი ბოთლიდან და წყლიდან ღვინო

გაამზადეთ 2 კოლბა (ან გამჭვირვალე ბოთლი) და 2 ჭიქა. ჭიქები „ცარიელია“, კოლბებში კი, ერთში „ღვინო“ ასხია, მეორეში – წყალი. პირველი, ღვინიანი კოლბიდან პირველ ჭიქაში ასხამთ „ღვინოს“ და ჭიქა ივსება „წყლით“, მეორე ჭიქაში კი წყლიანი კოლბიდან ასხამთ უფერო სითხეს და ჭიქა კი ივსება „ღვინით“. დამეთანხმებით, საოცარი საყურებელია! საოცრება კი, აი, რაში მდგომარეობს:

პირველ კოლბაში ღვინისფერი ხსნარი მომზადებულია ასე: 2-3 კრისტალი $KMnO_4$ (კალიუმის პერმანგანატი) გახსნილია 300-400 მლ წყალში. მიღებულ ჟოლოსფერ ხსნარზე ერთი-ორი წვეთი კონცენტრირებული გოგირდმჟავაა ჩამატებული. ეს უკანასკნელი შეიძლება 20-30 მლ განზავებული H_2SO_4 -ითაც შეიცვალოს. ჟოლოსფერი „მარგანცოვკა“ შემჟავებით ღვინისფერს იღებს.

პირველ ჭიქაში ფსკერზე რამდენიმე წვეთი ნატრიუმის თიოსულფატის კონცენტრირებული ხსნარია ჩაწვეთებული. ბოთლიდან ჭიქაში „ღვინის“ ჩასხმისას ხსნარი უფერულდება. მეორე კოლბაში მართლა წყალი ასხია. მეორე ჭიქაში კი ისევ იმ „ღვინის“ შემადგენლობაა: ნემსის წვერისოდენა 1-2 $KMnO_4$-ის კრისტალი და მის გვერდით რამდენიმე წვეთი განზავებული H_2SO_4. წყლის ჩასხმის შემდეგ ჭიქა შეივსება „ღვინით“, რომლის გემოს გასინჯვას არც ერთ დეგუსტატორს არ ვურჩევთ.

წყლის გადაქცევა მელნად და მელნის – წყლად

გაამზადეთ 2 კოლბა და 4 ჭიქა. ცდის ეფექტი ასეთია: ერთ კოლბაში სუფთა წყალი ასხია, მეორე კოლბა და ოთხივე ჭიქა ცარიელია. I კოლბიდან ოთხივე ჭიქაში ნახევრამდე ასხამთ წყალს. I და III ჭიქები (კენტები) უფერო სითხით შეივსება, II და IV (ლუწები) ლურჯი მელნით. შემდეგ ოთხივე ჭიქის შიგთავსს რიგრიგობით ჩაასხამთ II ცარიელ კოლბაში. მთელი ხსნარი გაუფერულდება.

სინამდვილეში, აი, რა ხდება: I კოლბაში ასხია ნახევარი ლიტრი წყლისა და ნახევარი ჩაის კოვზი ტანინის უფერო ხსნარი. II და IV ჭიქებში (ლუწებში) ფსკერზე დაწვეთებულია ცოტა $FeCl_3$ კონცენტრირებული ხსნარი, ვითომ ცარიელ ბოთლში კი ძირში ცოტა მჟაუნმჟავა ასხია (ფრთხილად, მომწამლავია!)

I კოლბიდან ოთხივე ჭიქაში ასხამთ ტანინიან ხსნარს. II დ IV ჭიქებში Fe^{3+} იმოქმედებს ტანინზე და ხსნარი გალურჯდება. შემდეგ ოთხივე ჭიქის ხსნარებს ჩაასხამთ II კოლბაში და შეანჯღრევთ. ლურჯი ხსნარი, მჟაუნმჟავას გავლენით, გაუფერულდება.

თუ ტანინს შეცვლით სილიციელმჟავა ნატრიუმით (გაციების სამკურნალო წამალია და აფთიაქებში იყიდება), ლურჯის ნაცვლად, წითელ მელანს მიიღებთ. შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ ორივე მელნით წერა შეიძლება.

ახლა, ცოტა ხანს, თავი მინდა დავანებო სახალისო ცდებს და ერთ მნიშვნელოვან სასწავლო ექსპერიმენტზე გადავიტანო თქვენი ყურადღება. დღეისათვის არსებულ ქიმიის არც ერთ სახელმძღვანელოში ამ ცდაზე, რატომღაც, არავინ ამახვილებს ყურადღებას. ვგულისხმობ ამონიუმის ქლორიდის სუბლიმაციის თვისების ექსპერიმენტულად დამტკიცებას. ყოველთვის მხოლოდ სინჯარაში ნიშადურის გახურებასა და ცივ კედლებზე მის დალექვაზეა ლაპარაკი. განა ეს ცდა ამტკიცებს, რომ NH_4Cl თერმულ დაშლას და შემდეგ შეერთებას განიცდის ($NH_4 \rightleftharpoons NH_3+HCl$)? სულაც არა! მოსწავლეებმა მასწავლებელს „სიტყვაზე“ უნდა დაუჯერონ. ცდაში სუბლიმაცია ჩანს, მაგრამ ხომ შეიძლება, დაშლაც ვაჩვენოთ? სწორედ ამაზე მინდა ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ.

აიღეთ 25 სმ სიგრძისა და 1,7-2 სმ დიამეტრის მინის მილი. მის შუა ადგილას მოვათავსოთ NH_4Cl-ის ფხვნილის მჭიდრო ფენა. ამისათვის საჭირო იქნება შეარჩიოთ 2 მინის წკირი, რომელიც ამ მილში შეეტევა. თუ ასეთი ვერ იშოვეთ, მაშინ გათალეთ 2 ჯოხი. ერთი წკირი შეყავით მილში შუამდე. მეორე მხრიდან მილში ჩაყარეთ ცოტა ნიშადური და მეორე წკირით ჩატკეპნეთ მარილი. მიიღება მჭიდრო ფენა. იმდენჯერ ჩავამატოთ და ჩავტკეპნოთ მარილი, სანამ არ მიიღება 4 სმ სისქის ნიშადურის ფენა.



დავამაგროთ შტატივზე ეს მილი დახრილად და ბოლოებში ჩავამაგროთ სველი ლაკმუსიანი ქაღალდები. გავაცხელოთ მილის შუა ნაწილი მარილის ფენის ქვედა ზღვართან. მარილი ვაცხელოთ მანამდე, სანამ ლაკმუსიანი ქაღალდები ფერს არ შეიცვლიან. ეს კი რამდენიმე წუთში მოხდება. ამ ცდით კარგად ჩანს, რომ მსუბუქი ამიაკი NH_3ზევით წავიდა და ლაკმუსი გაალურჯა, მძიმე HCl კი ქვევით დაეშვა და ლაკმუსი გააწითლა. აქ უკვე სახეზე გვაქვს ნიშადურის დაშლა

$NH_4Cl \longrightarrow NH_3+HCl$

მოსწავლე თავის თვალით ხედავს ნეიტრალური კრისტალური მარილის დაშლას ორ აირად, რომელთა შეხება წყალთან (რომლითაც ლაკმუსის ქაღალდებია გაჟღენთილი) ტუტესა და მჟავას წარმოქმნიან.

მასწავლებლის „სიტყვაზე“ დაჯერება აღარ არის საჭირო.

იმედი მაქვს, რომ ახალი სახელმძღვანელოების ავტორები ამ ექსპერიმენტს აუცილებლად შეიტანენ თავის წიგნებში.

გისურვებთ წარმატებებს.

მარიამ სურგულაძე

ვანის რაიონის სოფელ სალხინოს საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და მოსწავლეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის დირექტორი

მერაბ დავითის ძე ლორთქიფანიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სოხუმელი მხატვრის ნოსტალგია და თბილისში გაგრძელებული შემოქმედებითი ცხოვრება

ამ ნიჭიერი მხატვრის სანახავად თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის კომპაქტურ ჩასახლებაში მივედით. მასთან შეხვედრის შემდეგ, პატრიოტი, კეთილი და შესანიშნავი სულიერი თვისებების მქონე ადამიანი გავიცანით.

თემურ სხულუხია, მხატვარი: დაიბადა სოხუმში 1961 წლის 9 მარტს. 1978 წელს დაამთავრა სოხუმის შოთა რუსთაველის სახელოგის სამხატვრო სკოლა; 1983 წელს – სოხუმის სამხატვრო სასწავლებელი; 1986-1991 წლებში – თბილისის სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი, გრაფიკის განყოფილება; 1992 წლიდან სოხუმის სამხატვრო სკოლის დირექტორი იყო; 1991 წლიდან – საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი; 1997 წლიდან – საქართველოს ავანგარდისტთა ასოციაციის წევრი; 2000 წლიდან ილია ჭავჭავაძის სახელოგის წიგნის მოყვარულთა ასოციაციასთან არსებული ექსლიბრისისა და წიგნის გრაფიკის მოყვარულთა კლუგის წევრია.

– ბატონო თემურ, როგორ ფიქრობთ, დავბრუნდებით აფხაზეთში?

– წამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, თითქოს ეჭვი შემეპარა, მაგრამ დღეს, რატომღაც, დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად დავბრუნდებით!.. ძალიან მიყვარს აფხაზი ხალხი, უამრავი აფხაზი მეგობარი მყავდა, არაჩვეულებრივ ოჯახებს ვიცნობდი და მქონდა მათთან ურთიერთობა. ის, რაც ჩვენ შორის მოხდა, აფხაზების „დამსახურება“ არ არის. ახლა იქაურ მეგობრებთან არანაირი ურთიერთობა აღარ მაქვს, რაზეც გული მწყდება. დაბრუნების იმედი დღემდე მაქვს, სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

– გვიამბეთ იმ გზაზე, რომლითაც აფხაზეთიდან სამშვიდობოს გამოხვედით...

– ეს ნამდვილი კოშმარი იყო. ამ ამბის გახსენებაზე, დღემდე, ცრემლებს ვერ ვიკავებ. მე ბოლომდე სოხუმში ვიყავი, არ მეგონა, რომ ქალაქი დაეცემოდა. მთელი ოჯახი სვანეთიდან გადმოვედით. დედაჩემი დარჩა იქ. მესამე დღეს ნათესავმა გაიყვანა გუდაუთაში, მერე კი ბათუმში ჩამოიყვანა. იქიდან ყველანი თბილისში წამოვედით.

– ამ ყველაფრის შემდეგ როგორ აეწყო თქვენი ცხოვრება?

– თავს გადამხდარი ამბების გამო, თითქმის ერთი თვე, შოკში ვიყავი, ადამიანებთან ურთიერთობა, ლაპარაკიც კი მიჭირდა, თუნდაც ჩემი ოჯახის წევრებთან. შემდეგ, თანდათან, გამოვედი მდგომარეობიდან. მივხვდი, რომ სხვა გზა არ იყო, ცხოვრება უნდა გამეგრძელებინა.

– რას იტყვით თქვენს დღევანდელ ცხოვრებაზე?

– მყავს დედა, მეუღლე, შვილები, რძალი, სიძე და შვილიშვილები. მეუღლე – ირინა გრიგოლია – პროფესიით ბიოლოგია, ლექციებს კითხულობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1992 წლიდან ვხელმღვანელობდი სოხუმის სამხატვრო სკოლას, რომელიც, 1996 წელს, თბილისში აღდგა „ხელოვნების სამხატვრო სკოლა აფხაზეთი №1“ სახელწოდებით და დღესაც მისი დირექტორი ვარ. სწავლობს 43 მოსწავლე და დასაქმებულია 3 პედაგოგი: თემურ სხულუხია, ქეთევან სხულუხია და რევაზ ცქიტიშვილი. სკოლა, ძირითადად, დაკომპლექტებულია აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლეებითა და პედაგოგებით.

„ხელოვნების სამხატვრო სკოლა აფხაზეთი №1“ ქალაქ თბილისის მერიის დაქვემდებარებაშია, აფინანსებს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო. სწავლება უფასოა. პედაგოგები მოსწავლეებს ბევრ საინტერესო ამბავს უყვებიან მშობლიური აფხაზეთის, მხატვრობისა და მხატვრების შესახებ და ოსტატურად ასწავლიან მხატვრობის მეთოდებს.

სკოლა არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი გამოფენის მონაწილეა. მოსწავლეებს მიღებული აქვთ სხვადასხვა ხარისხის დიპლომები და სიგელები. ზოგიერთი მათგანი პრეზიდენტის სტიპენდიანტია. ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები უკვე ძალიან ცნობილი მხატვრები არიან.

მოსწავლეები თავისუფალ თემებზე ქმნიან ნამუშევრებს. სკოლაში წარმოდგენილია: ფერწერული ტილოები, გობელენი, აკვარელი, თექა, გრაფიკული და თიხისაგან გამოძერწილი ნამუშევრები. შეძლებისდაგვარად ჩატარებულია სარემონტო სამუშაოები და მოსწავლეთათვის შექმნილია ხელსაყრელი სამუშაო გარემო. ისინი დიდი მონდომებით, გულისყურით და ინტერესით ეუფლებიან ხატვას, გვთავაზობენ ფერად-ფერადი ფანქრებითა და გუაშებით შესრულებულ ნამუშევრებს; ძალიან უხარიათ, როდესაც გამოფენებზე მათ ნახატებს მეგობრები და ახლობლები ათვალიერებენ და აფასებენ; უყვართ ფრინველების, ცხოველებისა და პეიზაჟების ხატვა.

საინტერესო გეგმები გვაქვს, რაც ბევრ ნიჭიერ მოსწავლეს აღმოგვაჩენინებს და საშუალებას მოგვცემს, უფრო მრავალფეროვანი და ფართომასშტაბიანი გამოფენებიც მოვაწყოთ.

– თქვენმა მოსწავლეებმა, ალბათ, ისიც კი არ იციან, აფხაზეთი ტერიტორიულად სად არის. აქ დაიბადნენ, იზრდებიან, სწავლობენ და აქ ჰყავთ მეგობრები. როგორ ფიქრობთ, დაბრუნდებიან აფხაზეთში?

– ამაში ეჭვიც არ მეპარება. ისევე როგორც ჩვენ, ისინიც დიდი სიამოვნებით წამოვლენ მშობლიურ ქალაქში, როცა ეს ნანატრი დრო მოვა. აქედანვე უნდა ჩავუნერგოთ მათ აფხაზეთის სიყვარული...

ასმათ შამუგია

P.S. ამ კეთილი, ენერგიული და ყურადღებიანი ადამიანისაგან პედაგოგები და აღსაზრდელები მუდმივად გრძნობენ სითბოს, მზრუნველობასა და მხარდაჭერას. მას ზამთარში ხშირად საკუთარი სახლიდან და ნათესავებისგან მოაქვს შეშა და სხვა სათბობი მასალა, რათა მოსწავლეებს არ შესცივდეთ. მისი შრომა და ამაგი, რა თქმა უნდა, დასაფასებელია და მადლობის თქმის ღირსია.

სპორტი

დრამატული ფინიში

20 მაისს ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 20-წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატი, რომლის ფინალიც ვაჟებშიც და გოგონებშიც ძალზე დრამატული აღმოჩნდა. ბოლო ტურებამდე ჩემპიონატს **დავით ჯოჯუა** და **ქეთი წაწალაშვილი** ლიდერობდნენ, მაგრამ დასკვნით ნანილში მოისუსტეს, რითიც ოქროს მედლები და არგენტინაში, მსოფლიო პირველობაზე გასამგზავრებელი საგზურები **გიორგი მარგველაშვილსა** და **მირანდა მიქაძეს** დაუთმეს.

ჯოჯუასთვის საბედისწერო ბოლოს წინა ტური გამოდგა, როცა თეთრი ფიგურებით სწორედ მარგველაშვილთან დამარცხდა და ნახევარი ქულითაც ჩამორჩა. ბოლო, მეცხრე ტურში მარგველაშვილმა ფრედ ითამაშა **ზურაბ ჯავახაძესთან**, 6,5 ქულა დააგროვა და მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა. მართალია, მისი დაწევა და ქულებით გათანაბრება ერთბაშად ოთხ მოჭადრაკეს შეეძლო, მაგრამ კოეფიციენტით მარგველაშვილს ჩემპიონობაში ვერავინ შეეცილებოდა. ალბათ, ამას უნდა მივაწეროთ, რომ ყველა მდევარმა ასევე ფრედ ითამაშა და 6-6 ქულა დააგროვა. საბოლოოდ ვერცხლი ჯოჯუას ერგო, ბრინჯაო – **შოთა აზალაძეს**.

ქეთი წაწალაშვილმა, ბოლო ხუთ ტურში, ჯერ იყო და ზედიზედ ოთხი ყაიმი ითამაშა,

მირანდა მიქაძე და გიორგი მარგველაშვილი

დასკვნით ტურში კი თეონა მესხთან დამარცხდა და ჩემპიონატი 6 ქულით დაასრულა. დაჯილდოების ცერემონიალზე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, **გია გიორგაძემ** სინანული გამოთქვა ასეთი ჩავარდნის გამო და ამის სავარაუდო მიზეზად გადაღლა ან ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა დაასახელა. წაწალაშვილის ცუდი ფინიშით კარგად ისარგებლეს მეტოქეებმა – მირანდა მიქაძემ და **სოფიკო გურამიშვილმა**, რომლებმაც ბოლო ორი პარტია მოიგეს და 7-7 ქულა დააგროვეს. საბოლოოდ უკეთესი კოეფიციენტით ჩემპიონობა და არგენტინის საგზური მიქაძემ გაინაღდა. გურამიშვილმა, რომელმაც მთელი ტურნირი სტაბილურად ჩაატარა, ვერცხლი ირგუნა, ბრინჯაო კი წაწალაშვილს დარჩა, თუმცა ესეც **მარიამ დანელიასთან** გასაყოფი გაუხდა – ორივემ 6 ქულა დააგროვა, მაგრამ წაწალაშვილს უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა, რომელსაც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე უძღვებოდა. მან იმედი გამოთქვა, რომ მოჭადრაკეები არგენტინაშიც წარმატებით გამოვლენ და საქართველოს ასახელებენ.

ჭავჭავაძის უნივერსიტეტი უნივერსიადის ლიდერია

დაიწყო „უნივერსიადა-2009“, რომელშიც საქართველოს 20 აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობს და რომელიც სპორტის 14 სახეობაში გაიმართება. ასპარეზობები ჯერ მხოლოდ ორში – ძიუდოსა და ცურვაში – ჩატარდა, 21 მაისიდან კი უნივერსიადაში სხვა სახეობების წარმომადგენლებიც ჩაებმებიან.

ძიუდოისტთა ტურნირს გლდანის დარბაზმა უმასპინძლა და წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები **ზურაბ ზედგინიძე** (60 კგ; სტუ), **ელიზბარ ქარდავა** (66 კგ; აგრარული უნივერსიტეტი), **ბექა ბაიდაური** (73; თსუ), **ზაზა დავაძე** (81; გორის უნივერსიტეტი), **ალექსანდრე ღვინიაშვილი** (90; აგრარული უნივერსიტეტი), **კონსტანტინე მუკვანი** (100; სამედიცინო უნივერსიტეტი), **ლევან მუქერია** (+100; ჭავჭავაძის უნივერსიტეტი) გახდნენ.

მოცურავეთა ტურნირს სკა-ს აუზმა უმასპინძლა. გოგონებში, 50 მეტრზე ბრასით ცურვაში, თსუ-ს სტუდენტმა **ნინო მემარნიშვილმა** იმარჯვა, ვაჟებში – ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სტუდენტმა **ალექსანდრე ხახანაშვილმა**. ჭავჭავაძელები განსაკუთრებით **გიორგი ბუხრიკიძემ** ასახელა, რომელმაც სამი ოქრო მოიპოვა – 50 მ-ზე ბატერფლაით, ამავე დისტანციაზე თავისუფალი სტილით და 100 მ-ზე კომპლექსურ ცურვაში. 50 მ-ზე გულაღმა ცურვაში **ალექსანდრე ნემსაძემ** (თსუ) იმარჯვა.

გუნდურ ჩათვლაში ჭავჭავაძის უნივერსიტეტი დაწინაურდა, რომლის ანგარიშზეც 5 ოქრო, 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაოა. მედლების რაოდენობით თსუ უსწრებს, მაგრამ ჩამორჩება ოქროებით – მის ანგარიშზე 10 ჯილდოა, აქედან – 3 ოქრო, 6 – ვერცხლი და 1 – ბრინჯაო. მესამეზე აგრარული უნივერსიტეტია, 2-2 ოქრო-ვერცხლით და 3 ბრინჯაოთი.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.